# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 99 ოთხშაბათი, 6 მაისი 1909 წ. № 99

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციამი და კანტორამი ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათის ძვირფას და საყვარელ შვილის მოსკოვის უნივერსიტეტის

## სტუდენტის მიშას

გარდაცვალების ნახევარი წლის წირვა გადახდილი იქნება აბასთუმანში, წმინდის ღვთისმშობლის ეკკლესიაში. პანაშვიდი 10 მაისს, დილის 10 საათზე (1—249—1)

წარმოდგენა № 1. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1

ოთხშაბათს, 6 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა პ. ირეთელისა.**

## ქრისტინე

დრამა 4 მოქმედ. და 5 სურათად.

მონაწ. მიიღებს მთელი ამხანაგობა **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენა „სად მიხვალ“?. „ღალატი“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

## მიიღება ხელის მოწერა დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის. და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განსავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—12

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—120

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—115)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 57)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—71)

**ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების**

## საბჭო

მეორედ იწვევს წევრებს საზოგადო წლიურ ჩვეულებრივ კრებაზე კვირას, 17 მაისს, დილის 11 საათისთვის ჭიათურის თეატრის დარბაზში.

**განსახილველი საგნები:**

1. მოხსენება საბჭოსი;
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1908 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და
5. არჩევნები გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს სამის წევრისა.

ეს კრება მეორედ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—ნ.—3)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—139)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. **დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. **ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ **მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. **ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. **გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. **გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—54)

## იყიდება

**სად. მცხეთაში** მიწა, ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. კარგა სამოსახლოდ და სამეურნეოდ. პირობების შეტყობა შეიძლება ანასტასიევსკის ქუჩაზე, სახლი № 19, ბინა 2.

## ტფილისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის

მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში (8-9 წლის ყმაწვილებისათვის) **მისაღები ეგზამენები** იქნება 21 და 22 მაისს, ხოლო მათი მიღების საქმე გადაწყდება აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

აგვისტოს ბოლო რიცხვებშიაც იქნება ყმაწვილების გამოცდა ამავე განყოფილებაში მისაღებად და აგრეთვე იმ გიმნაზიურს კლასებში, რომლებშიაც აღმოჩნდება თავისუფალი ადგილები. თუ რომელ კლასში იქნება ადგილები და რა დროს მოხდება გამოცდა—თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

თხოვნები გიმნაზიის კანცელარიაში მიიღება. (3—ნ.—2)


## ტფილისი, 6 მაისი

მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარებს და ნათელს მოჰფენს აზეფ-ლოპუხინის საქმეს; მიუდგომელი და მკაცრი სასამართლო გამოამჟღავნებს ამ საქმის იურიდიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობასაო,—სთქვა საპარლამენტო ტრიბუნიდან პრემიერ-მინისტრმა სტოლიპინმა ამას წინად, აზეფის საქმის გამო შეკითხვის განხილვის დროს. სათათბირო ტაშის ცემით მიეგება ამ სიტყვებს, ხოლო ევროპის პრესსამ ძალიან მოიწონა მთავრობის მეთაურის „გაბედული“ სიტყვა. მაგრამ, ოპოზიციამ სათათბიროში და პრესაში ეჭვის თვალით შეჰხედა მთავრობის ამ განცხადებას და, როგორც ვხედავთ, არც მოსტყუვდა: ლოპუხინის პროცესსი გათავდა და არავითარი ნათელი არ მოჰფენია იმ სკანდალს, რომელსაც აზეფიადა ეწოდა.

ახლად დასრულებული პროცესსი ღირსია აღნიშვნისა, როგორც ფრიად დამახასიათებელი თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობისა. პირველ ხანებში, როცა ლოპუხინი დააპატიმრეს, უმაღლეს საიუსტიციო მმართველობას წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა ბრალი დაედო ყოფილ მოხელისათვის და სასჯელთა დებულების რომელი მუხლით გაესამართლებინა იგი. უფრო იმ აზრისანი იყვნენ, რომ სამსახურის საიდუმლოს გაცემას დააბრალებდნენ, რაც შედარებით მსუბუქი დანაშაულობაა. შემდეგში გავრცელდა ხმა, რომელიც ჯერ არავინ არ დაიჯერა, ხოლო მერე კი გამართლდა, რომ ლოპუხინს ჰბრალდება, ს.-რევ. პარტიაში მონაწილეობის მიღება. მართლაც, გამოძიება და სასამართლოში საქმის გარჩევა ამ მხრით აწარმოეს და პლევე-დურნოვო ვიტტეს რეჟიმის დროის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, წარჩინებული ბიუროკრატი, რომელიც ბრმად ასრულებდა პოლიტიკურ პოლიციის საშინელ საქმეს პლევეს დროს, დამნაშავედ იცნეს იმაში, რომ ეს-ერების პარტიას ეკუთვნოდა და ემსახურებოდა და კატორგა მიუსაჯეს! დაუჯერებელი ამბავია, რომელიც მხოლოდ დღევანდელს რუსეთში თუ მოხდება...

საქმის ასეთი დაბოლავება თავისთავად მოწმობს, რომ „მიუდგომელი და მკაცრი სამართალი“ უფრო პოლიტიკურ შურისძიების აქტსა ჰგავს, ვიდრე სამართალს, და რომ იგი ვერავითარ ნათელს ვერ მოჰფენს რამდენიმე თვისს წინად ამტყდარ სკანდალს. მთავრობამ, პირიქით, ყოველი ღონე იღონა, რომ საიდუმლო არ გამომჟღავნებულიყო და საქმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხარე სიბნელეში დარჩენილიყო. არც ერთი მთავარი მოწმე არ გამოცხადებულა: პოლიტიკურ პოლიციის ყოფილი უფროსი ცნობილი რაჩკოვსკი „სასამართლომ ვერ იპოვა“-ო, პეტერბურგის „ოხრანკას“ ცნობილი გამგე გერასიმოვი საზღვარ-გარედ არის ავადმყოფიო, არა ნაკლებ ცნობილმა აგენტმა რატაევმა ექიმის მოწმობა გაგზავნა—ავადმყოფობის გამო საქმის გარჩევაზე ვერ მოვალო და სხვა და სხვა. შემდეგ, სასამართლომ საჭიროდ არა სცნო ლოპუხინის მიერ დასახელებულ საჭირო მოწმეთა დაბარება. ბოლოს, უმაღლესმა სამსჯავრომ ისე შეავიწროვა საქმის ფარგალი, რომ ყოველი მნიშვნელობა დაუკარგა მას. გამოდგა, რომ იუსტიციას მხოლოდ იმ ფაქტის დამტკიცება აინტერესებდა, რომლის არსებობას თვით ბრალდებულიც არა ჰყოფდა უარს, სახელდობრ—მართლა შეატყობინა ლოპუხინმა ეს-ერების პარტიის კომიტეტს აზეფის ჯაშუშობის ამბავი თუ არა? რაკი ეს დამტკიცდა, სასამართლომ თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩასთვალა და ლოპუხინი კატორგაში გაგზავნა: აზეფი მთავრობას დიდ სამსახურს უწევდა და იმის გაცემით ლოპუხინმა დიდი ვნება მოუტანა სახელმწიფოსაო. ლოპუხინის სიტყვები, რომ საბუთები წინააღმდეგს ამტკიცებენ, სახელდობრ იმას, რომ აზეფი უფრო რევოლიუციონერთ ემსახურებოდა, ვიდრე მთავრობასაო, რომ იმის მეთაურობითა და მონაწილეობით აღსრულებულ იქმნა მთავარი ტერორისტული აქტები, სასამართლომ არა-თუ უყურადღებოდ დასტოვა, მისი გაგონება-მოსმენაც-კი არ მოისურვა...

ეჭვს გარეშეა, რომ ეს დიდი პროცესსი ასე კუდმოჭრილი და უცნაური უნდა გამომდგარიყო. აზეფიადა უდიდესი და უსაშინლესი ბრალდებითი ოქმია თვით იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ყველაფრის გამოაშკარავებას ჰპირდებოდა სათათბიროს, ბრალდებითი ოქმია მთელის რეჟიმის წინააღმდეგ, მთელის წესწყობილების წინააღმდეგ. იმისი სავსებით გამომზეურება დაამტკიცებდა იმ რეჟიმ-სისტემის გახრწნილებასა და გაკოტრებას, რომელიც მედგრად იცავს თავის არსებობას და არა სურს ადგილი დაუთმოს ახალს წესწყობილებას. რასაკვირველია, მმართველმა წრეებმა არ მოინდომეს თავისისავე ხელით ყელის გამოჭრა და საქმეს პირად შურის-ძიების მიმართულება მისცეს: სასტიკად დასაჯეს თავისივე მოძმე, რომელმაც გაჰბედა და საშინელ საიდუმლოს ფარდის აწევა განიზრახა.

ჯერ ყველაფერი თავის ალაგას არის. არაფერი არ შეცვლილა: პოლიციური წესწყობილება ჰსუფევს. 17 ოქტომბრის მანიფესტი პეტერბურგის ბიუროკრატიის მაგიდაშია გამომწყვდეული. მაშასადამე, პოლიციის დეპარტამენტი და საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია ქვა-კუთხედია რუსეთის სახელმწიფოსი, რომლის შერყევის ნებას არავის მისცემენ. ლოპუხინ—აზეფის პროცესსიც, მაშასადამე, შომავლის საქმეა...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იმ შეკითხვაზე, რომლითაც გაზ. „ზაკავკაზიემ“ მიმართა ბ-ნ ხაჩატუროვს (იხ. ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომერი), ეს უკანასკნელი შემდეგ პასუხს აძლევს: „ზაკავკაზიეს“ ნომერი გვიან წავიკითხე და ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლიან, რომ ჩემ შესახებ იქ მოთხრობილი ამბავი მართალი არ არის. „ზაკავკ.“-ის მიერ შეთხზული ჭორი კარგად მესმის. სიმართლეს გამოვააშკარავებ და მერე საზოგადოებამ დასდოს თავისი მსჯავრიო.

* *

სატახტო გაზეთების ფურცლებზე მოთავსებულია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა თვალთმაქცური სარჩული უდევს ხშირად შავ-რაზმელთა მოღვაწეობას. სხვათა შორის, საქმე ეხება ჭეშმარიტ რუსთა ერთ მოწინავე ბურჯს, ოდესელ პატრიოტს კონოვნიცინს.

ამ სამი წლის წინად, კონოვნიცინის მეოხებით, ოდესელმა შავ-რაზმელებმა დაარსეს მუშების ამხანაგობანი ვითომ და მუშა ხალხის ინტერესების დასაცველად. ეს დაცვა ბოლოს და ბოლოს იმ ხასიათის გამოდგა, რომელიც საზოგადოდ ემჩნევა მოიჯარადრეებისა და მუშების დამოკიდებულებას. სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებანი, უმწეო, წერა-კითხვის უცოდინარ მუშების ცარცვა-გლეჯა, მაღალი პატრიოტიზმის მჭკუმეტყველობით მოვარაყებული და ბოლოს და ბოლოს რასაკვირველია ამხანაგობათა უნუგეშო მდგომარეობა. საქონლის დამტვირთველ ამხანაგობათა ზოგიერთი წევრები ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებად ითვლებიან და ამის გამო კავშირს შეძლება ეძლევა მუშათა ამხანაგობების საქმეში გაერიოს, რასაც ერთობ სამწუხარო შედეგი სდევს. კონოვნიცინის მოღვაწეობა არა მარტო ამხანაგობათა ორგანიზაციას დაეტყო. ეს სასიქადულო გვამი რუსეთის ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებაში მსახურობს და ამ საზოგადოებასა და მუშათა შორის შუამავლობს. ამ შუამავლობას შემდეგი ხასიათი ჰქონდა: მეხუთე ამხანაგობის მუშები, რომლებიც ჭეშმარიტ რუსთა კავშირში შედიოდნენ ყოველ 1000 ფუთ დატვირთულ საქონელზე 20 კაპ. აძლევდნენ კონოვნიცინს კავშირის რაზმის სასარგებლოდ. როცა საზღვაოსნო საზოგადოებამ დაუკლო მუშებს ქირა, ამ უკანასკნელებმა კონოვნიცინს ბაჟის ძლევა მოუსპეს. კონოვნიცინმა გამოუცხადა მუშებს, საზოგადოება ისე არ შეეკვრის თქვენ ამხანაგობას პირობით, თუ გირაოს არ წარმოადგენთო. შემდეგ ურჩია ამხანაგობას ესა და ეს კაცი პირჩიეთ მეთაურად, იგი იკისრებს გირაოს შეტანას, პასუხის გებას გაფუჭებულ საქონლისათვის და მუშების დაზღვევას. სამაგიეროდ ამ მეთაურისათვის უნდა ეძლიათ თვითეულ ათას ფუთ დატვირთულ საქონელზე 2 მ. 75 კ. როცა მუშები პირობით შეეკრნენ გრაფ კონოვნიცინის მიერ წარდგენილ მეთაურს, აღმოჩნდა, რომ საზოგადოება სრულებით არ სთხოვდა მუშებს ერთბაშად გირაოს შეტანას და გაფუჭებულ საქონლისათვის პასუხის გებას თითონ კისრულობდა. ამხანაგობა კი თავის მეთაურს ყოველ წელს 30 ათას მანეთს აძლევდა ტყუილა უბრალოდ. მუშები რასაკვირველია უკმაყოფილონი დარჩნენ. 1909 წლის დამდეგს აღმოჩნდა, რომ საზოგადოება არა ამხანაგობას, არამედ იმის მეთაურს შეკრა პირობით. მეთაურმა კი კიდევ დაუკლო მუშებს ქირა, რომელიც ამნაირად განახევრდა, 15 მანეთიდან 7 მან. 50 კაპ.-მდე ჩამოვიდა.

მთელი ეს საყურადღებო ამბავი „პატრიოტულ“ გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ მოთავსებული და მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

იმავე გაზეთში მოთხრობილია ამბავი შავრაზმელთა მეორე ბურჯის, ჩვენი კარგი ნაცნობის, დეკანოზ ვოსტორგოვის შესახებ.

ვოსტორგოვმა შეიამხანაგა არხიმანდრიტი მაკარი, შეისყიდა მოსკოვის ჟურნალი „ვეჩე“, გადასწყვიტა ვრცლად მოეწყო შავრაზმული აგიტაცია მუშა ხალხის გულის მოსაგებად. ვოსტორგოვის მონდობილობით არხიმანდრიტი მაკარი გადაიქცა საინტენდანტოების და სხვა დაწესებულებების მოიჯარადრედ და მუშებს სამუშაო გაუჩინა.

რევიზიამ მალე გამოაშკარავა, თუ რა პირობით იყო გაცემული ეს იჯარა. მაგალითად, სალდათებისათვის საცვლების დამზადება არხ. მაკარის მიანდო საინტენდანტომ; მან სხვა მოიჯარადრეებზე ნაკლები ფასი მოსთხოვა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა კონვერტები გახსნეს და აუწყეს მას სხვა მოიჯარადრეების მიერ წარმოდგენილი ფასები.

იმავე არხ. მაკარის მიანდვეს მისთვის შეღავათიან პირობით პურის ჩაბარება ჯარისათვის, ხაზინისათვის საზარალოდ.

ვოსტორგოვისა და მაკარის სასიამოვნოდ კანონი ბევრჯერ დარღვეულ იქნა.

კონოვნიცინის, ვოსტორგოვის და მისთანათა მოღვაწეობას რომ უკვირდები, ძალაუნებურად გაგონდება სატირიკოს სალტიკოვ-შჩედრინის მიერ მოკლედ და მკაფიოდ დახასიათებული გმირი — „Патріотъ своего отечества и мерзавецъ своей жизни».

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**დაშავებულ მუშათა დაჯილდოვება.**

4 მაისის სხდომაზე სათათბირომ განიხილა წვრილმანი კანონ-პროექტები. სხვათა შორის, მიიღო კანონ-პროექტი კავკასიის მუზეუმის შრომათა გამოსაცემად ფულის გადადების შესახებ. ამ კანონ-პროექტს მხარი დაუჭირა დეპ. ჩხეიძემ.

ბოლოს სათათბიროს მოხსენდა კომისიის აზრი ერთი კანონ-პროექტის შესახებ. ეს კანონ-პროექტი შეეხება ფინანსთა სამინისტროს სატეხნიკო და სამრეწველო დაწესებულების იმ მუშების დაჯილდოვებას, რომელნიც დაშავდებიან უბედურ შემთხვევების დროს ან შრომის უნარს დაჰკარგვენ. ილაპარაკეს უმთავრესად მემარცხენეებმა, მაგრამ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს მიერ სიტყვები ისე მოკლედ და უაზროდ არის გადმოცემული, რომ გადმოსაღებად არც კი ღირს.

ამ კანონ-პროექტის განხილვამდე მემარცხენეებმა (პოკროვსკი მეორემ და სხვებმა) განაცხადება შეიტანეს. განცხადებაში ნათქვამი იყო: ფინანსთა მინისტრმა არ შეასრულა სათათბიროს სურვილი, ათ ნოემბერს გამოთქმული, და არ შეიმუშავა კანონ-პროექტი მუშების დაჯილდოვების შესახებ არა მარტო დაშავების დროს, არამედ პროფესიონალურ ავადმყოფობის დროსაც. მან კანონ-პროექტი წარმოადგინა მხოლოდ პირველ ნაწილის შესახებ, მეორე ნაწილი კი (პროფესიონალურ ავადმყოფობის დროს დაჯილდოვების შესახებ) გამოსტოვა. განცხადების ავტორნი წინადადებას აძლევდნენ სათათბიროს, ორი კვირის ვადით დაუბრუნოს კანონ-პროექტი კომისიას მეორე ნაწილის შესამუშავებლად.

სათათბირომ არ შეიწყნარა ეს წინადადება.

კანონ-პროექტის განხილვა არ დათავებულა და მეორე დღისთვის გადაიდო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი

### ოსმალეთი

**სალონიკი.** თუმცა ალბანელები და ახალგაზრდა ოსმალები შეთანხმდნენ, მაგრამ ჩრდილოეთ ალბანიაში მაინც ცუდად მიდის საქმე ხოჯები თავიანთ ლოცვებში არ ისხენიებენ ახალ სულთანს, მას უკანონო სულთნად სთვლიან და აბდულ-ჰამიდის სახელს ადიდებენ. ხალხში დიდი აგიტაციაა, ძველი სულთანი და შარიატი აღვადგინოთ და ახალგაზრდა ოსმალებს ვებრძოლოთო. დებრში სრული ანარქიაა. მთავრობა არსად არ მოქმედებს. დებრსა, დოლნსა და სხვა ადგილებში ხალხის კრებები იმართება. ალბანელები ქრისტიანებს ატყვევებენ და ამბობენ, რომ სტამბოლის უკანასკნელი დროის ამბებმა გაგვანთავისუფლეს იმ ფიცისაგან, რომელიც ჩვენ წარსულ ზაფხულს კონსტიტუციის ერთგულებაზე დავდეთო. ქრისტიანები ისე არიან დაშინებულნი, რომ მინდორში სამუშაოდ ველარ გადიან. ჯევათ-ფაშამ ბრძანება მიიღო, იმ შემთხვევაში, თუ ალბანელებმა აქტიური მოქმედება დაიწყონ, თავისუფლად იმოქმედოს. 2 მაისს უკანვე, სტამბოლში წაიყვანეს და სამართალში მისცემენ აბდულ-ჰამიდის 57 ფრჩეველს და თახირ-ფაშას. საგამომძიებლო კომისია ილდიზის მოსამსახურეების შესახებ საქმეს სპობს, მათ გაანთავისუფლებენ. პირველ მაისს ნევროკოპში დაატუსაღეს სოფლის კომპანი, რომელსაც აუარებელი ოქროს ფული აღმოაჩნდა. კომპანი მოჰკლეს, რადგან მან სალდათებს წინააღმდეგობა გაუწია.

საფინანსო კომისიამ თათბირი იქონია იმის შესახებ, თუ საიდან დაჰფარონ ის ხარჯი, რომელიც გამოიწვია სტამბოლიდან დამნაშავე სალდათების გადაყვანამ. გადასწყვიტა, ეს სალდათები გზებზე ამუშაოს. შეუკვეთეს საჭირო ტანისამოსი ტუსაღებისთვის. 700 კაცი გადაიყვანეს დემირგისარში. დამნაშავე სალდათების რიცხვი 10,000 კაცს უდრის, აქედან 6,000 კაცი აქაურ სატუსაღოებშია, 1500 მონასტირის, დანარჩენები უსკიუბის სატუსაღოებშია. მათი მდგომარეობა აუტანელია.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა კანონ-პროექტები კრებებისა და დროებით ბიუჯეტის შესახებ. კრებების შესახებ კანონ-პროექტში შეიტანეს ცვლილება, რომლითაც აღკრძალულია კრებები სასახლეებისა და პარლამენტიდან ერთი კილომეტრის მანძილზე. ბიუჯეტში მოხელეების შესანახი ხარჯი 200,000 ოსმალური გირვანქით შეამცირეს.

სულთანმა მიიღო ინგლისისა და იტალიის ელჩები.

**სტამბოლი**. სამინისტრომ შეიმუშავა მინისტრთა ამხანაგების შესახებ კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი პარლამენტს გადაეცა. დღეს პარლამენტის წინ ჩამოახრჩეს სამი აფიცერი და ორი პოლიციელი, რომელნიც 31 მარტის არეულობის ხელმძღვანელობდნენ.

### სპარსეთი

**თავრიზი**. დღეს, 4 მაისს, შუადღის 12 საათზე, სათარ-ხანის სადგომში აფეთქდა თოფის წამლის საწყობი. მოკვდა 4, დაშავდა 7 კაცი. აფეთქების მიზეზი არ იციან.

**თეირანი**. ახალ საარჩევნო კანონის გამოქვეყნებას ელიან ამ კვირაში.

**რუსის ჯარის ბანაკი** (თავრიზთან). 2 მაისს გათავდა ის ვადა, რომელიც გენერალმა სნარსკიმ ქალაქ თავრიზს მისცა. ამ დღისთვის თავრიზს 20,000 მანეთი უნდა გადაეხადა ჯარის კაცის დაჭრისთვის, იარაღი აეყარა და ბარიკადები დაენგრია. 2 მაისს ქალაქმა მესამედი შეიტანა. ამავე დღეს რუსმა საპიორებმა, გენერალ სნარსკის ბრძანებით, ხაიბის უბანში დაანგრიეს ორი ბარიკადა, რომელიც აქამდე რევოლიუციონერების ხელში იყო. საპიორებს დანგრევაში შველოდა ხაიბის უბნის მამასახლისი.

გზების გახსნამ და რუსეთთან საქონლის გამოცვლამ თავრიზი გააცოცხლა.

**თეირანი**. შაჰი წავიდა სულტანაბადში.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი**. 3 მაის პარიზის მახლობლად აქა იქ და სამხრეთ საფრანგეთში გააფუჭეს ტელეგრაფი. დილით დაატუსაღეს ფოსტის ერთი მოხელე, რომელსაც ტელეგრაფის გაფუჭება უნდოდა. მთავარ ფოსტის მახლობლად ცეცხლი წაუკიდეს წერილების ყუთს. დაიწვა ზოგიერთი წერილი. წერილების ყუთებს სასტიკად ადევნებენ თვალყურს. გაფიცული მარტო 157 მოხელეაა. გაფიცულებმა კრება გამართეს. კრებაზე ორატორებმა სარევოლიუციო სიტყვები წარმოსთქვეს და განაცხადეს, რომ მუშათა სინდიკატები მხარს დაგვიჭერენო. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც გაფიცულები იმედოვნებენ, რომ გაიმარჯვებენ. ამასთან რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ გაფიცვა უკანასკნელ წუთამდე უნდა გაგრძელდესო. ჟანნა დ-არკის ძეგლის, გახსნის გამართულ ნადიმზე როიალისტებმა დაპატიმრეს 15 როიალისტი.

**პეკინი**. ტონკინელ ყაჩაღთა ბრბომ იუნნანს კონტრიბუცია დაადო და მოჰკლა ორი ჩინელი აფიცერი.

**ბერლინი**. რეისსტაგის პრეზიდენტმა გადასცა დეპუტატებს, რომ ცეპელინმა 25 მაისს ფრიდრის-ჰაფენში მიგვიწვია და გვთხოვა აეროპლანის აფრენას დავესწროთ.

### რუსეთი

**ირკუტსკი**. სახალხო საქონლის მატარებელი ირკუტსკიდან 152 ვერსის მანძილზე ლიანდაგს გადასცდა. მატარებელს ექვსი ტუსაღის ვაგონი ება და ყველა დაიმტვრა. მოკვდა საბარგო კონდუქტორი რამდენიმე გზავრი დაშავდა. მატარებლის გადაცდენის მიზეზი კლდეების ჩამონგრევაა.

**მოსკოვი**. პოლიციამ შეიყრო აღგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია. შეიპყრეს სულ 16 კაცი. შეპყრობილთ აღმოაჩნდათ საბუთები.

**კიევი**. პოლიტეხნიკუმის დირექტორად აირჩიეს პროფესორი რუზსკი.

**პეტერბურგი**. კრებულ „ჩ იკას“ გამომცემელი კოზლოვი 300 მანეთით დააჯარიმეს იმისგამო, რომ კრებულში მოთავსებული იყო: რა ამბავია დღეს სტუდენტობაში. „ავტონომია უკუღმა სტაროსტების საბჭო და ვარშავის პოლიტეხნიკუმი“.

**პეტერბურგი**. გაზეთ „ვეჩერ“-ის რედაქტორი ტაბურინო დაჯარიმებულ იქნა 500 მანეთით „ვარვარინის სასამართლოს“ სათაურით დასტამბულ წერილის გამო.

სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო გარჩევა სამხედრო გადამწერელთა კავშირის საქმისა. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **წ.-კ. საზოგადოების განყოფილება**. კვირას, 3 მაისს, გაიხსნა ბაქოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება. ეს დღე ბაქოს განყოფილებას მიულოცეს სხვა და სხვა ქართულმა დაწესებულებებმა. სხვათა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა განყოფილების გამგეობის თავმჯდომარეს თაქთაქიშვილს. დეპეშა გაუგზავნა ჩვენმა რედაქციამაც

✦ **გადამწვარი სომხები**. ნამესტნიკმა ბრძანება გასცა ოსმალეთიდან სხვა და სხვა დროს გადმოხვეწილ სომხების შესახებ. ის სომხები, რომელნიც 1901 წლის 1 თებერვლამდე მოვიდნენ და რუსეთის ქვეშევრდომებად კი არ ჩაირიცხნენ, აგრეთვე ისინი, რომელნიც შემდეგ მოვიდნენ, მაგრამ ქაღალდები კი არა ჰქონდათ, უნდა წავიდნენ რუსეთის იმპერიიდან. თუ ნებით არ წავლენ, ვადა უნდა დაენიშნოთ და ამ ვადის შემდეგ ძალით იქმნენ გასტუმრებულნი. რაც შეეხება იმ სომხებს, რომელთაც ქვეშევრდომობა მიიღეს და ეხლა სურთ უკან დაბრუნება, ნამესტნიკს სასურველად უცვნია ამათ შესახებ კანონიერ წესების გარეშე მოეწყოს საქმე, ე. ი. იგი ნება მიეცეთ ამ სომხებს დაბრუნდნენ. ნამესტნიკს ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერა გაუმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

✦ **ყანტაჟისტები**. პანასევიჩის ქუჩაზე მცხოვრებ მეორე გილდის ვაჭარ ასატურ არუთინოვთან 4 მაისს, ნაშუადღევს $2^1/_2$ საათზე, მისულა ოსმალეთის ქვეშევრდომი რაფაელ ხაჩიკიანი, გამოუხმია კარში არუთინოვი და გადაუცია მუქარის წერილი: თუ 3000 მან. არ მოგვცემთ, ცოცხალს არ გაგიშვებთო. ხაჩიკიანი პოლიციამ დააპატიმრა. წ-ნა დღეს, 3 მაისს, კბილის ექიმს მიხეილ ფეის და პროჟექტორის პატრონს სოფიო ივანიცკისას მუქარის წერილები მიუღიათ შანტაჟისტებისაგან. პირველისთვის მოუთხოვნიათ 100 მან., მეორესთვის—1000 მან. ფული ამათ უნდა წაეღოთ ავლაბარში, სომეხთა სასაფლაოზე, და იქ დანიშნულ ადგილზე შეენახათ. პოლიცია ჩაუსაფრდა უცნობებს და დააპატიმრა კიდეც ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე სერგო ოსიპოვი.

✦ **დაპატიმრება**. 4 მაისს ალყა შემოარტყეს ალექსანდრეს ბაღს, გაჩხრიკეს ხალხი და 35 კაცი დააპატიმრეს. ამავე დღეს დააპატიმრეს მუშტაიდში 2 კაცი და ნაძალადევში—17 კაცი.

✦ **მკვლელის შეპყრობა**. 3 მაისს პოლიციამ აღმოაჩინა ქალთა მეორე გიმნაზიის მოსწავლის ფლორა ტერგასპარიანცის მკვლელი (ეს მკვლელობა შარშან, 28 მაისს მოხდა). მკვლელი აღმოჩნდა ოსმალეთის ქვეშევრდომი ლევან მინოიანცი, რომელიც უკვე გამოტყდა. მინოიანცს პასპორტი ჰქონია ფოთის მოქალაქის პოლოს ოჰანიანის სახელზე. მინოიანცს სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენაც ჰბრალდება.

✦ **სტამბოლელი ქართველები**. როგორც ვიცით, სტამბოლელმა ქართველებმა წიგნთ-საცავი დააარსეს. სამკითხველოს წიგნებს გარდა, მისდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი. სტამბოლელი ქართველობა აქამდე უქმე-დღეებში სავაჭრო დაწესებულებებს არა ჰკეტავდა თურმე. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, მოულაპარაკნიათ და დაუდგენიათ უქმე დღეებში სავაჭრო სახლები დაჰკეტონ და თავისუფალი დრო გონიერ გასართობებს და სამკითხველოში მეცადინეობას მოანდომონ. ვინც არ შეასრულებს ამას, სამკითხველოს სასარგებლოდ 5 ლირს გადაიხდის. სტამბოლელ ქართველთ განუზრახავთ აგრეთვე ქართული კლუბის დაარსება, რომ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანერთს. მათვე გადაუწყვეტიათ სავაჭრო სახლის გაღება. ხელის მოწერა გაუმართავთ და სავაჭრო სახლის და დამხმარებელ კასის გასამართავად შეუკრებიათ 8500 მანეთამდე. ამ ერთი თვის წინად სტამბოლელ ქართველთ სდომებიათ აკაკის საიუბილეო დღესასწაულის გამართვა, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობისა გამო დღესასწაული სხვა დროსათვის გადაუდვიათ.

✦ **ლექციები** კ. ზუბალაშვილის სახალხო სახლში ხვალ, 7 მაისს, გაიმართება ორი ლექცია. კ. ვ. სივკოვი წაიკითხავს ლექციას ბატონყმობაზე რუსეთში და მილიუშენკო—დედამიწის ძველ დროზე. პირველი ლექცია დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზე, მეორე $12^1/_2$ საათზე.

✦ **საქართველოს სასინოდო კანტორის ახალი პროკურორი**. „ტფ. ლისტ.“ სიტყვით, საქართველოს სასინოდო კანტორის პროკურორად ინიშნება კავკასის კონსისტორიის მდივანი ნ. ბულგაკოვი, ტფ. სასულიერო სემინარიაში მას წავლებლად ნამყოფი

✦ **ქართული წარმოდგენა**. ხვალ, 7 მაისს, ქართულ თეატრში არტისტთა ამხანაგობა წარმოადგენს ახალს დრამას „ქრისტინეს“.

✦ პრესას არა ერთხელ აღუნიშნავს ის ურიგო საქციელი, რომლითაც ზოგჯერ უმანსპინძლდებიან ტრამვაის კონდუქტორები მგზავრებს. 3 აპრილს ვოგზალში ვაგონში ჩაჯდა ერთი კაცი, რომელსაც 3—4 წლის ბავშვი ეჯენა წინ. კონდუქტორმა № 78 მოსთხოვა, აძლიე ბავშვისთვის ბილეთი. მგზავრმა უარი განაცხადა: 5 წლის ბავშვს ბილეთი არ ესაჭიროებაო. ამაზე კონდუქტორმა მორთო ყვირილი და ლანძღვა. დროა შეიგნოს ტრამვაის ზოგმა მოსამსახურემ, რომ ისეთ საზოგადო ადგილას, როგორც ტრამვაია, ლანძღვა-გინება მოსათმენი არ არის.

✦ 4 მაისს ბორჯომის ქუჩაზე მცხოვრებმა ანასტასია ავჩინიკოვისამ პოლიციისათვის გამოუცხადებია, რომ ჩემ საყვარელს მაჰმედ-ნაგი სადიხოვს ბრაუნინგის რევოლვერი მოჰპარა მსახურმა ქალმა ანნა ზაქარიაშვილმაო, ზაქარიაშვილისას თან წაუღია მოწმობა რევოლვერის ტარების ნებართვისა. ზაქარიაშვილი დააპატიმრეს. მას რევოლვერი გადაუცია თავის ნაცნობებს აზას ოღლისა და მამედ-ოღლისათვის. პოლიციამ ეს უკანასკნელნიც დააპატიმრა.

✦ 4 მაისს, 12 საათზე, ისაკ პრილუცკის თავის საყვარელის ანნა ხრუსტალევისათვის მოუპარავს 300 მანეთი და დამალულა. პრილუცკი იპოვნეს და დააპატიმრეს.

✦ 4 მაისს პოლიციამ დააპატიმრა დავით აბულაძე და ანტონ ჯაჯაევი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ტფილისში დაბრუნებულან.

# პატარა ფელეტონი

## ქალების მზვერავი გამგეობა

აზრის სნეულება უფრო გავრცელებული და უფრო დამღუპველია, ვიდრე სხეულის სნეულება.
*ციცერო.*

წავიკითხე გაზეთში წვრილის ასოებით აწყობილი შემდეგი საყურადღებო ამბავი: „ქუთაისის ქალაქის გამგეობა ცუდი ყოფა-ქცევის ქალებს ზვერვა — ზედამხედველობას უპირებს და ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა დახმარება,- გვაუწყებს, როგორც გვწერენ ქალაქში „ეს საქმე მოწყობილია“.

უმრავლესობის თვალში ეს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი და ყურადღების უღირსი ამბავია. ხოლო ბევრი რამ არის ისეთი ცხოვრებაში, რასაც მხოლოდ ჩვეულებამ შესძინა გულგრილი უმნიშვნელობის ხასიათი, ხოლო, გამჭრიახის თვალით რომ დაუკვირდეთ, თავის ბინძურ გულღვიძლს სავსებით გადაგვიშლის.

მხოლოდ ერთი რომ უნდა აღვნიშნოთ. მაინცა და მაინც დიდი გულადი ვაჟკაცი არა ყოფილა ქუთაისის ქალაქის გამგეობა. იგი საეჭვო ქალების წინააღმდეგ გამოლაშქრებას აპირებს და საკუთარის ძალ-ღონით გამარჯვების იმედი არა აქვს: უფრო დიდ და ძლევა-მოსილ ტფილისის ქალაქის გამგეობას ემუდარება, როსკიპ ქალებთან ბრძოლაში დახმარება გაგვიწიეო.

ამ მხრივ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სავსებით მოგვაგონებს იმ რაზმს, რომელიც საომრად ემზადებოდა და წინ და წინ მთავრობასთან მიიქცა თხოვნით, ერთი ძარღვიანი და კარგი ვაჟკაცი ჟანდარმი გაგვაყოლეთ, რათა გული გაგვიკეთოს და მტერზე გამარჯვება შეგვაძლებინოსო.

რას ჰნიშნავს, რა მიზანი აქვს არსებითად ცუდი ყოფა-ქცევის ქალების ზედამხედველობას? მხოლოდ ის, რასაკვირველია, რომ ცუდი ყოფა-ქცევის მამა-კაცი ამ ქალებისგან ფულით ნაყიდ ალერსს უვნებლად, უსატკივროდ გადარჩეს. მერე ვინ შესძინა ამ ქალებს ცუდი სატკივარი, თუ არ მამაკაცებმა? აქ საერთი-ერთო, სქესთა შორის გადამდები სენია, სადაც ორსავე მხარეს, დედა და მამა-კაცს, თანასწორი მონაწილეობა აქვს, მაგრამ რადგან მართვა-გამგეობის ალვირი მამა-კაცს უპირავს ხელში, (ქ. ქუთაისსაც მამაკაცები განაგებენ, რასაკვირველია), იმიტომ იგი გულმოდგინედ სცდილობს მხოლოდ მამაკაცების ჯიში დაიცვას ყოვალ-ნაირ ხიფათისაგან.

ვთქვათ, ვინმე ქუთათური მკვიდრი საქორწილოდ გამგზავრებას აპირებს და ეს გარემოება ქუთაისის ქალაქის გამგეობამ წინ-და-წინ იცის. გაუწევს იგი თუ არა დახმარებას

# ფელეტონი

## ოსმალთა შორის

(წერილი ტრაპიზონიდან)

მეჩეთების, ყავახანების და აუზების სიმრავლე.—ხურდა ფულის სიძვირე.—მინაური წეს-წყობილება: სასამართლო, სკოლები, სასულიერო დაწესებულება და ექიმები.—ვაჭრობა-მრეწველობა, მცხოვრებთ- ცხოვრება ქალაქში და სოფელში.—სახელმწიფო გადასახადები.—მუშების მდგომარეობა.

შედიხართ თუ არა ოსმალეთის ქალაქში, თქვენს ყურადღებას უნებლიეთ იქცევს მეჩეთებისა და ყავახანების სიმრავლე. ყველა მეჩეთთან აუცილებლად წყლის აუზია, სადაც ყოველ ლოცვის წინ მაჰმადიანი ვალდებულია ხელი და ფეხი დაიბანოს და ფეხშიშველი შევიდეს მეჩეთში. წყალი მილებით გამოჰყავთ შორეულ წყაროებიდან და ამისათვის შრომასა და ხარჯს არა ჰზოგავენ. ლოცვა დღე-ღამის განმავლობაში ხუთჯერ მაინც არის. ყოველთვის ფეხსაცმლის გახდა, დაბანა არა სასიამოვნო მოქმედებაა, ნამეტნავად ზამთარში, ამიტომ ბევრი სავსებით ვერ ასრულებს ამ წესს, ზოგიც ვითომ ასრულებს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად, მაგალითად, ფეხსაცმლის გახდის ნაცვლად დასველებულ ხელს წაღაზე გადისვლებს, ვითომ დავიბანეო.

ყავახანას ყოველ ქუჩაზე რამდენიმეს შეხვდები, თითქმის ყოველ 10—15 ნაბიჯზე ყავახანაა. ყავა. მეტად გავრცელებულია. ყავასა სვამს როგორც მდიდარი, ისე ღარიბიც. ღარიბ უბნებში, სადაც წვრილი ვაჭრობაა და ხელოსნები მუშაობენ, ყავას ქუჩაში ადუღებენ განგებ ამისთვის გაკეთებულ მაყლებში. ნაცნობს რომ ქუჩაში შეხვდე და რამეზე დაელაპარაკო. უთუოდ ყავახანაში მიგიწვევს და იქ ყავის დალევის დროს უნდა იმასლაათოთ. ნაცნობ ვაჭართან შეხვალ სავაჭროდ, იქაც ყავას მოგართმევენ. სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში თუ ცოტა საპატიო კაცად გიცნეს, იქაც ყავას მოგაწოდებენ. ფინჯანი ყავა ღირს ხუთ და ზოგგან ათ ფარად, ესე იგი ერთ ან ორ კაპეიკად. ფინჯანი მეტად პატარაა. ჭიქა ჩაი ორ ან სამ კაპეიკად ღირს, ჭიქა-კი აქაც პატარაა, ღვინის ჭიქის ოდენა. ჩაის უფრო მუშა ხალხი სვამს.

*
* *

ფულის ანგარიში აქ ფარობით არის, ფარა კი ხმარებაში არ არის, არის 5 ფარიანი და 10 ფარიანი, ერთ და ორ კაპეიკიანი, მაგრამ ეს ფულიც მეტად იშვიათია. საზოგადოდ ოსმალეთში წვრილი ფული ძალიან ძვირია. ხმარობენ რუსის ხურდა ფულსაც- მაგრამ ბაზარში ხურდა ფული მაინც ნაკლებადაა. ამიტომ ყავახანებში ხშირად ხურდა ფულის მაგიერ ხმარობენ მარკებს. ეს მარკები ყავახანის პატრონს აქვს და იმისაგან იყიდი. თუ მისი ხშირი სტუმარი ხარ, შეგიძლიან შენი საკუთარი მარკებიც იქონიო და დრომდე ფულის მაგიერ ის აძლიო.

*
* *

ადმინისტრატიული მმართვა-გამგეობა და სამოსამართლო დაწესებულებანი ოსმალეთში იმნაირადვეა მოწყობილი, როგორც ჩვენში. რამდენიმე პატარა სოფელი შეერთებულია ერთ საზოგადოებად—„ვერიე“, რომელსაც განაგებს მამასახლისი—მუხტარი. რამდენიმე საზოგადოება „ნახიეს“ წარმოადგენს. აქის უფროსია „მუდირი“. რამდენიმე „ნახიე“ შეადგენს ოლქს—კაზას და მმართავს კაიმაკამი. რამდენიმე კაზადან შესდგება გუბერნია—სანჯაყი, რომლის უფროსიც „მუტესარიფია“, გუბერნატორი. ამაზე უფროსი „ვალია“ გენერალ-გუბერნატორი. იგი განაგებს ვილაიეტს, საგენერალ-გუბერნატოროს.

სასამართლო მეკემე—კოლლეგიალური აქვთ, შესდგება 4 კაცისაგან: ჰაკიბ-მსაჯული, ორი წევრი აზა და ერთი მდივანი—ქიანიბი. ჰაკიბი ნასწავლი მოლაა და მთავრობის მიერ ინიშნება. წევრებს საზოგადოება ირჩევს 3 წლით, ერთი მაჰმადიანი, ხოლო მეორე ქრისტიანი უნდა იყოს, ბერძენი ან სომეხი (სამი წელიწადი რომ ბერძენია მერე სამი წელიწადი სომეხია ხოლმე. აქ აწერილი წესები ტრაპიზონის ვილაეტს შეეხება). საქმის გარჩევა საჯაროდ ხდება. საზოგადოებისთვის ცალკე საჯდომებია დარბაზში. მომჩივანმოპასუხენიც სხედან; ვექილი ორივე მხარეს შეუძლიან იყოლიოს. მსაჯულებს ცალკე ოთახი აქვთ და განაჩენის დასადგენად იქ შედიან. განაჩენი საჯაროდ იკითხება. უკმაყოფილო მხარეს ნება აქვს საქმე განასაჩივროს: სააპელაციო—ვილაიეტში, ხოლო საკასაციო -სტამბოლში. განაჩენი სისრულეში მოჰყავს სასამართლოს ბოქაულს—იჯრა მებერს.

სასამართლო სამის ტიპისაა: სამოქალაქო (მეკემე ჰუკუკ), სისხლის სამართლისა (მეკემე ჯეზა) და კომერციული (მეკემე ტიჯარეტ). არის პროკურორი (მედეი უმემი) და გამომძიებელი (მესტან-ტიკ).

ქალაქებში და სოფლებშიაც წესიერების დაცვა ჟანდარმებს აბარიათ. ამათ ხელშია ყოველივე პოლიციური საქმე. უფროსი აფიცერია იუსბაში. ამას აბარია ასამდე ჯარის-კაცი, მილიციონერი, ზაფთა და ამათ შემწეობით იცავს წეს-რიგს და ასრულებს პოლიციურ მოთხოვნილებებს.

გუბერნიის და საოლქო ქალაქებში არიან მთავრობის მიერ დანიშნული ნოტარიუსები (მუკაველატმესარისები). სიგელები შინაურადაც კეთდება, მხოლოდ უსათუოდ საჭიროა ყოველ ქაღალდს დაეკრას შესაფერი მარკა. გარდა ნოტარიუსისა, კერძო სამწერლო კონტრაც ბევრია, რადგან ყველაფერი წერილობითა ხდება.

სასამართლო, ადმინისტრატიული და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი ხშირად ერთ სახლშია მოთავსებული და ეს სახლიც სახაზინოა. სასამართლოს და ყველა დაწესებულების კარები მთელი დღე ღიაა, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. პარასკევობით კი ყველა დაკეტილია.

ქალაქებს ოსმალეთში თვით-მართველობასავით აქვთ. ქალაქის საბჭო—ბლედიე, ქალაქის თავი—ბელედიე რეიზი და ექვსი დეპუტატი. ამაებს ირჩევენ ოთხი წლით. საარჩევნო ხმა აქვს ყველა მოქალაქეს, ვინც სახელმწიფო გადასახადს იხდის არა ნაკლებ ასი ყურუშისას, ესე იგი რვა მანეთ. საბჭოში თავმჯდომარეობს ქალაქის თავი.

სწავლა-განათლების საქმეს ქალაქებში ცალკე დაწესებულება განაგებს და ევროპიულად არის მოწყობილი. აქვთ სამოქალაქო სასწავლებელი (მექთები იპტადიე), პროგიმნაზია (მექთები რეშტი) და გიმნაზია—(მექთები იდადი). ფრანგული და გერმანული ენები გიმნაზიებში სავალდებულოა. გიმნაზიებს პანსიონებიცა აქვთ. უნივერსიტეტი ოსმალეთში არ არის, მხოლოდ სტამბოლში რამდენიმე უმაღლესი სკოლაა: სამოქალაქო, სამხედრო, საექიმო, სამოსამართლო და სანაოსნო, საცა გიმნაზიაში კურს დამთავრებულები შედიან სწავლის განსაგრძობად. კიდევ აქვთ პროფესიონალური სკოლა (მექთები-სანაი).

სოფელში ყოველ მეჩეთთან არის პირველ-დაწყებითი სკოლა, „მედრესე“, რომელიც ემსგავსება ჩვენებურ სამრევლო-საეკლესიო სკოლას. ამ სკოლებს განაგებენ და მასწავლებელნიც არიან ამავე მეჩეთების მოლლები.

უმაღლესი სასულიერო პირი მთელ ოსმალეთში შეიხ-ულ-ისლამია. ამისი რეზიდენცია სტამბოლია. ყველა ქალაქებში არის მუფთი. ამას ხალხი ირჩევს და, სიკვდილამდე რჩება ამ თანამდებობაზე. მოლლას, რომელსაც მეჩეთი აქვს და იქ მსახურებს, იმამი ჰქვიან. იმამს მრევლი ირჩევს სამის წლით და სარჩოსაც ის აძლევს. მოლლები ოსმალეთში მეტად ბევრია. უმეტესობა უმდგილოა და ამიტომ თავი რო ირჩინოს, სხვა ხელობას არა თაკილობს. მაგალითად, შეხვდები მოლლას ვაჭარს, მესაათეს, ხარაზს, წიგნების გამყიდველს ან სამწერლო კანტორის გამგეს.

აფთიაქი ქალაქებში ბევრია, მაგრამ იმით უფრო ევროპიელები და სხვა განათლებული ხალხი სარგებლობენ. აქაური მდაბიო ხალხი მაგრე რიგად ექიმის წამალს არ ეტანება, ნამეტნავად შინაგანი ავადმყოფობისა. აქაური ექიმები უმეტეს ნაწილ აფთიაქში სხედან და იქ იღებენ პაციენტებს.

*
* *

ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ქალაქებში ბერძნებისა, სომხებისა და უცხოელების ხელშია. თავისი ნაწარმოები ოსმალეთს არაფერი არა აქვს, ყველაფერს სხვა სახელმწიფოები აწვდიან, ოსმალეთი გაუხდიათ ბაზრათ, სადაც ასაღებენ თავიანთ ფაბრიკების და ქარხნების ნაწარმოებს. ბევრი თათრული ნაციონალური საქონელი საზღვარ-გარედ მზადდება, მაგალითად, ფესკების (თათრული ქუდია) ფაბრიკები ავსტრიაშია და მთელ ოსმალეთს ეს სახელმწიფო აკმაყოფილებს. სხვა სახელმწიფოდან შემოტანილი საქონელი აქ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე იქ, საიდანაც წამოღებულია. მაგალითად, რუსეთის შაქარი გირვანქა აქ 8 კაპეიკად იყიდება, ჩაი საუკეთესო ჩინეთისა 50—80 კაპეიკად. მანუფაქტურა და სხვა საქონელიც აქ მეტად იაფია.

ცხოვრების სიიაფესთან ოსმალეთის ქალაქებში სოლარი სიმშვიდე და

ქურდობის მოსურნე კაცს, რათა იმან თავისი განზრახვა უვნებლად შეასრულოს? არა და ათასჯერ არა, რასაკვირველია. მერე რატომ უწევს იგი დახმარებას იმ მამაკაცს, რომელიც ქურდობაზე ბევრად უარეს საქმეს სჩადის? ქურდები მხოლოდ ქონებას გვაცლიან, მამაკაცები კი სულითა და ხორცით ჰღუპავენ როსკიპ ქალებს, წყობილების ამ საცოდავ მსხვერპლებს.

ვიცი, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობა ჩემ სიტყვებს არ დაიჯერებს და უეჭველად ხელს შეუწყობს მამაკაცების მხრივ დედაკაცების სულითა და ხორცით გახრწნას. მაგრამ მე ქუთაისის ქალაქის გამგეობა სრულებითაც არ მაინტერესებს. დღეს ქუთაისის ქალაქის გამგეობის მიერ ჩადენილი დიდი ბოროტ-მოქმედება იმიტომაა დაბეჭდილი წვრილის ასოებით გაზეთის ფურცლებზე, რომ საზოგადოება მას უვიცობის ლიბრ-გადაკრული თვალით უცქერის და ამ ლიბრის ახდა, აზრის სნეულების გაქარწყლება, მწერლობის მოვალეობაა. **ილია ნაკაშიძე.**

# ტფ. ქალაქის საბჭო

**4 მაისი.**

ამ დღეს საბჭოში ბევრი გარეშე ხალხი იყო. უმთავრესად იყვნენ ტრამვაის მოხელენი. ამ დღეს საბჭოს უნდა განეხილა საკითხი ტრამვაის შესახებ. 12 საქმიდან საბჭომ ათამდე გაარჩია, უმთავრესად წვრილმანი საქმეები.

ამ წვრილმან საქმეების შემდეგ საბჭო შეუდგა ტრამვაის დირექციის მიერ აღძრულ შუამდგომლობის განხილვას. უკვე გვქონდა მოკლედ აღნიშნული შინაარსი ბ-ნ ლებონის მემორანდუმისა. ლებონმა ითხოვა, გადადებულიყო ვადა ავჭალისა და ნაძალადევის გზების გაყვანისა; გადიდებულიყო მიმოსვლის ტარიფი; გადიდებულიყო საკონცესიო და ტრამვაის გამოყიდვის ვადა და სხვა. ქართულად იტყვიან: გადმა წავედავე, გამოღმა დაგრჩებათ! საქმე იმაშია, რომ, ხელშეკრულობის ძალით, უსახელო საზოგადოება მოვალე იყო, 7 მაისამდე (ხვალამდე) ავჭალის ქუჩაზე ელექტრონის ვაგონები მოეწყო, ხოლო დეკემბრამდე (ამ წლის) ნაძალადევში გზა გაეყვანა. თუ საზოგადოება დაპირებულს არ შეასრულებს, მთელი ტრამვაი უნდა ჩამოერთვას, ან გადა-გადაცდენილ ყოველ დღეში ქალაქს 5000 მან. აძლიოს. უსახელო საზოგადოებამ ამ ხელ-შეკრულებას ყურადღება არ მიაქცია და თუმცა ვადა ავჭალის გზის გაკეთებისა ხვალ თავდება, მაგრამ ჯერ ხელიც არ გაუნძრევია. რომ გამოღმა დარჩეს და ხელ-შეკრულების შედეგი არ იწვნიოს, თავბრუ-დამხვევი საკითხები წამოუყენა ბ-ნმა ლებონმა ქალაქის გამგეობას. გამგეობას და დირექციის შორის ერთი თვეა თითქმის მოლაპარაკებაა. მემორანდუმის ზოგიერთ მუხლისა გამგეობა წინააღმდეგი ყოფილა. ავჭალის ვადის შესახებ გამგეობას წინადადება მიუცია ლებონისათვის, საზოგადოებამ უჩივლელად გაათაოს საქმე ქალაქთან 60,000 მანეთის ჯარიმის შესახებ, 4 თვის ვადით გაგრძელებულ იქმნეს მუხრანის ხიდის დამთავრების საქმე და ნაცვლად ქალაქი ოთხი თვის ვადას მისცემს საზოგადოებას აღნიშნულ გზის გადასაკეთებლად. გამგეობას უთქვამს ლებონისათვის, ქალაქი არ ისარგებლებს ხელშეკრულობით და 5000 მანეთს არ გადაგახდევინებთ დღეში, ან სულ არ ჩამოგართმევთ ტრამვაის, თუ ასეთ პირობაზე დასთანხმდებითო. ლებონს პასუხად მთელი ტრამვაის ვითარება აუწერია და „პამიატნაია ზაპისკის“ სახით გამგეობისათვის გადაუცია. ლებონს მოჰყავს ცნობები, თუ რა ნივთიერი სარგებლობა მისცა ქალაქს ტრამვაიმ. იგი ამბობს, თუ ქალაქის გამგეობა და საბჭო ჩვენს მდგომარეობაში არ შევა და ჩვენი მოთხოვნილება არ შეასრულა, სრულიად დაიღუპება ისედაც სახელშერყეული საზოგადოებაო. უსახელო საზოგადოებამ ქალაქს 400,000 მანეთი მისცა მუხრანის ხიდის გასაკეთებლად, 30,000 მან.—ციციანთ-აღმართის გასამაგრებლად. 600,000 მანეთი—ავანსად ქუჩების მოსაკირწყლავად, 627,000 მანეთი მოანდომა იმ ქუჩების მოკირწყლვას, სადაც ლიანდაგია,—52,000 ჯარიმებათ გადაიხადა, ასე რომ სულ 1,974,000 მანეთი დახარჯა საზოგადოებამ ქალაქის სასარგებლოდაო. გარდა ამისა, საზოგადოებას კიდევ ბევრი ფული სჭირდება ახალ გზების გასაყვანად. ქალაქმა მით უფრო უნდა მიიღოს ჩვენი მოთხოვნილებანი, რომ რასაც ჩვენ გავაკეთებთ, ყველაფერი შემდეგ ქალაქს დარჩებაო. ცხენის რკინის გზის დროს საზოგადოებას სარგებლობა ჰქონდა, ეხლა კი იმდენად დაზარალდა საქმე, რომ ბირჟაზე საზოგადოების აქციები 7—8 ფრანკამდე ჩამოვარდა და ასეთ უკრედიტობის დროს არ შეგვიძლიან ხელ-შეკრულობა შევასრულოთო. ბ-ნი ლებონი, სხვათა შორის, მცხოვრებთაც მისწვდა და ხალხი თითქმის ბოროტ-მოქმედებად და შანტაჟისტებად გამოჰყავს. ხშირად ვაგონებზე კაცი განზრახ თუ უნებურად შავდება, მოწმებს ათასობით შოულობს და საზოგადოებას მრავალ ფულს ახდევინებსო. 1903 წელს ასეთი შემთხვევა 10 იყო, 1908 წელს—350. 6 წელს განმავლობაში ამრიგად საზოგადოებამ 1 მილიონ ხუთას ათასი მანეთი გადაიხადაო. ამას ემატება მუშათა მოთხოვნილებანი, გაფიცვები და ყველა ამან დაგვაუძლურა და ხელი შეგვიშალა, ხელშეკრულება შეგვესრულებინაო. ხალხი იმდენ ბოროტმოქმედებას სჩადის ტრამვაის საქმეში, რომ დღეში 100 მანეთი ზარალი აქვს საზოგადოებასაო; ბევრი გადასაჯდომ ბილეთებს იძენს, თუმცა არ სჭირდება; შემდეგ მტოზე აღარ მიდის და სხვას აძლევს, ანდა იძენენ ამ ბილეთებს და შემდეგ ხელმეორედ ჰყიდიანო. ამ ბოროტმოქმედებას ბევრი კონდუქტორიც უწყობს ხელსაო. საჭიროა, ცხოვრებნი ჩვენ დაწესებულებას სხვანაირად უცქეროდნენ და ზარალში არ გვაგდებდნენო.

გამგეობას გადაუწყვეტია, ყველა შუამდგომლობა უარჰყოს უკომპერაციოდ. ამასთან გამგეობას უცნობებია დირექტორისთვის, რომ თუ იგი დასთანხმდება ნავთის მილის გაყვანასა, ავჭალის რკინის გზის გადაკეთებას და სხვას იმ პირობით, რომელსაც გამგეობა ასახელებს—მაშინ გამგეობა განაგრძობს მოლაპარაკებას დირექტორის მიერ აღძრულ შუამდგომლობათა განსახილველად და ასე თუ ისე შესაწყნარებლადაო.

საბჭოში ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ. ი. დოდუხანოვი, შახბუდაგოვი და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ საბჭომ ამ ჟამად სულ არ უნდა განიხილოს შუამდგომლობანი საზოგადოებისა. არაფერი გვაქვს შესახვეწი: ხელშეკრულება დადებულია; თუ არ შეასრულებენ, ითხოვენ რაც უნდათ და ჩვენც განვიხილავთ, თორემ კომპერაციის სახით გამგეობის პასუხი ჩვენის მხრივ ხვეწნა გამოდის. ჩვენ ხომ არა ვართ დამნაშავე, რომ საზოგადოება ხელშეკრულებას არღვევს. გათავდეს ვადა (7 მაისი) და მერე ვნახოთ, ჩამოვართმევთ თუ არა ტრამვაის საზოგადოებას ან გადავახდევინებთ თუ არა 5000 მან. დღეში. საქმე სერიოზულია და მოვიცადოთ. რა გვაჩქარებს ამ შუამდგომლობის განხილვასაო.

ხმ. ჯაბადარმა სთქვა, დღეს უნდა გადავწყვიტოთ ერთი საკითხი—უარვყოთ თუ არა შუამდგომლობა ავჭალის გზის გადაკეთების ვადის გაგრძელების შესახებ. ამის გადაწყვეტის შემდეგ ვნახოთ, რას იტყვის საზოგადოება და ამის მიხედვით განვიხილავთ სხვა შუამდგომლობებსაც. ჩემის აზრით, საკითხი ვადის გაგრძელების შესახებ უნდა უარყოფილ იქმნას, მით უმეტეს, რომ ბ-ნი ლებონი უბრალო ზრდილობასაც არ იცავს: იგი ხალხს შანტაჟისტობასა და ბოროტმოქმედებას აბრალებს. რასა ჰგავს ასეთი საქციელი: ვიღაც ბავშვები ბილეთების გაყიდვას ახერხებენ ერევნის მოედანზე და აქედან ბ ნ ლებონს საზოგადო აზრი გამოჰყავს და მთელ მცხოვრებთ ბოროტმოქმედებაში სდებს ბრალს.

საკითხის დაყენების შესახებ საბჭომ მხარი დაუჭირა ხმ. ი. ჯაბადარს. საბჭომ კარგა ხანს კამათის შემდეგ დაადგინა, ნაადრევად იქნას ცნობილი დირექტორის ლებონის შუამდგომლობათა განხილვა. რაც შეეხება შუამდგომლობას ავჭალის გზის გადაკეთების ვადის გადადების შესახებ, საბჭომ ერთხმად დაადგინა, უარჰყოს შუამდგომლობა და განაგრძოს მოქმედება ხელშეკრულების თანახმად.

---

სიწყნარეა: ქურდობა და ავაზაკობა იშვიათი მოვლენაა, კარლია შეგიძლიან ღამე იძინო. ლოთსა და მთვრალ კაცს ხომ ვერ შეხვდები ქუჩაში.

ფაბრიკების და ქარხნების უქონლობას და ადგილის სიმწირეს აქეთ დიდი სიღარიბე ჩამოუგდია. ღარიბი, ბოგანო ხალხით სავსეა ქალაქები. ამოდენა კურტნიან მუშას კაცი ვერსად ვერ შეხვდება. ურმები და დროგები აქეთ ხმარებაში არ არის, ყველაფერი მუშებს გადააქვთ და ისე გაუვარჯიშებიათ თავიანთი ძალ-ღონე, რომ ხშირად დაკლულ ხარს წამოიკიდებენ ზურგზე და ისე მიაქვთ, თითქო არაფერიაო. უბრალო მუშის ქირა დღეში 5—8 ყურუშია, ესე იგი 40—64 კაპეიკი. სამუშაო დღე ითვლება მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. ქალების ქირა ორ აბაზს არ აღემატება. აქაური მუშები, თუ სამუშაო ვერ იშოვა, მათხოვრობასაც არა თაკილობენ. იმისთანა ჯანსაღი ადამიანი გამოგიწვდის ხელს მოწყალებისათვის, რომ შენ შეგრცხვება.

რაკი აქ ვერ შოულობენ სამუშაოს, აუარებელი მუშა რუსეთში გადადის: სოხუმში, ჩაქვში და სხვა შავი ზღვის პირად მდებარე ადგილებში. მარტო ტრაპიზონის ვილაეტიდან გადადის ყოველ წლივ რუსეთში არა ნაკლებ 30 ათას მუშისა.

* * *

სახელმწიფო გადასახადები ოსმალეთში შემდეგია: 1. „აშარი“—მერვედი ყოველივე შემოსავლისა, როგორც მიწისა, ისე ხეხილის და საქონლისა; 2. „ემლაკ“-ყოველივე უძრავ ქონებიდან $^4/_{10}$% თუ ქონება შემოსავალს არ იძლევა, და 1% თუ შემოსავალს იძლევა; 3. „ტემეტე“—10% პირადად აღებულ ქირისაგან ან ვაჭრობის შემოსავლიდან; 4. „მაარიფ-პარასი“—სწავლა-განათლების გადასახადი: ემლაკის 6% და აშარზე სამი ყურუში. 5- „ბედელანი ესკერიე“—სამხედრო ბეგარის გადასახადი: ყველა ქრისტიანი მამაკაცი დაბადებიდან სიკვდილამდე იხდის წელიწადში 37$^1/_2$ ყურუშს, ესე იგი 3 მანეთს; 6. „იოლ პარასი“—გზის ბეგარა: ყველა ვალდებულია 20-დან 50 წლამდე იმუშაოს გზის გასაკეთებლად 3 დღე წელიწადში ან 12 ყურუში გადაიხადოს. ამ ბეგარისაგან თავისუფალნი არიან სასულიერო წოდების პირნი, მოხელენი და ჯარის კაცნი; 7. წვრილ რქიან საქონლის გადასახადი, ცხვარზე და თხაზე, სულზე ორი ყურუში (16 კაპ.) წელიწადში. ცხენზედ და მსხვილ რქოსან საქონელზე წინად ყოფილა გადასახადი, მაგრამ ხალხი აჯანყებულა და მოუსპიათ.

თხილის და თუთუნის აშარს სოფელი ამ ნაწარმოების გაყიდვისთანავე იხდის, ვაჭარი რვაზე შვიდში აძლევს ფასს და მერვედს იტოვებს. ვაჭარს კი აშარის ფასი გაყიდვის დროზე ხაზინაში შეაქვს.

აშარი დანარჩენ შემოსავალზე და სხვა გადასახადები ხშირად იჯარით იცემა. მთავრობის მოხელეს წინდა-წინვე აქვს შეფასებული სოფლის ყველა აშარი და სხვა გადასახადები. მოიჯარადრე ვაჭარს შეაქვს ხაზინაში ეს ფული და მერე სოფელს ახდევინებს გადასახადს, უმეტეს შემთხვევაში ზომაზე მეტს. ეს გარემოება იწვევს ხშირად უკმაყოფილებას, სოფლები ჩივიან, მაგრამ ყოველთვის ვაჭარი მოიჯარადრე რჩება გამარჯვებული, სოფლები კი უკანონოდ იჩაგრებიან.

ამოდენა გადასახადი და ხარჯის მოკრეფის ასეთი სისტემა სოფელს დიდად აღარიბებს და ხალხს მეტად აბეჩავებს. აქაურ სოფლებში დიდი სიღარიბე ტრიალებს, ადგილები მწირეა, სარჩო სამყოფი ვერ მიჰყავთ და თითქმის მთელი სოფელი სიმინდს ყიდულობს.

როგორცა ვთქვით, ურემი აქეთ ხმარებაში არ არის, ამიტომ საურმე გზაც არა აქვთ. საქონელი საპალნით გადააქვთ. რაც ჩვენში ხარკამეჩით ძლივს იზიდება, აქეთ კურტნიან ცხენს, ჯორს და ვირს იოლად აზიდვინებენ. ასე ეზიდებიან შეშას, ქვას, ფიცარს, კირს, ქვიშას და სხვა საშენო მასალას.

დამოჟნის ბაჟი საზღვარ-გარეთიდან ოსმალეთში შემოტანილ საქონელზე საქონლის ფასის 11% ია. ფუთობით არ არის როგორც ჩვენში. თამბაქოს და მარილის შემოტანა კი აკრძალულია, რადგან აქაც ბევრია. სიმინდზე, როცა აქეთ შიმშილობაა და ბევრი საკვები ეჭირვებათ, ბაჟს სულ ხსნიან და იმ წელს უფასოდ შემოაქვთ. აქედან საზღვარ-გარედ გატანილ საქონელზე ბაჟი 1%, ხოლო შიგ სახელმწიფოში კი 2%.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსმალეთში დაწესებულებანი და წესწყობილება არა ყოფილა ურიგო, მაგრამ აღმსრულებელნი არა ჰყოლიათ კარგი. ამასთან ჯამაგირები ძრიელ ცოტა ეძლევათ და ამის გამო მექრთამეობა მეტად გახშირებული ყოფილა.

**ერმილ-ეფენდი.**

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**არეულობა მცირე აზიაში.**

გაზეთებსა და დეპეშებს მეტად არეული, ერთი მეორეს წინააღმდეგი ცნობები მოაქვთ ამ არეულობაზე. ხან იუწყებიან, რომ არეულობა მცირე აზიასა და სირიაში უკვე მოისპო, ხან ირწმუნებიან, რომ ეს არეულობა უფრო და უფრო ძლიერდებაო.

ვენური გაზეთი „ცაიტ“-ი იუწყება: ოსმალეთის მთავრობამ 5 გემი დაიქირავა ჯარის გადასაყვანად მერსინში. მეორე და მესამე კორპუსებიდან 30 ათასი ჯარის-კაცი გაიგზავნება მეამბოხეთა, ინამეტნავად ქურთების წინააღმდეგ და სასტიკად დასჯის იმათაო. გაზეთი დასძენს, რომ ქურთების არეულობას რუსეთი უწყობს ხელსაო.

გენერალისიმუსს შევკეთ-ფაშას უთქვამს, რომ რეაქციონური მოძრაობა ანატოლიაში ყველგან დათრგუნა მთავრობამ და იმედია, რომ ამას იქით შეუძლებელი იქნება ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტაო. დიდძალი რეაქციონერია დატუსაღებული; ვისაც კი არეულობაში მონაწილეობა მიუღია, ყველანი გაჩხრიკეს. გაქცეულებსა და დამალულებს ბეჯითად დაუძებს მთავრობა.

სომხური გაზეთები იუწყებიან, რომ სამხედრო-სამოსამართლო კომისია ადანაში სომხებსაც ატუსაღებს, როგორც ხოცვა-ჟლეტის მეთაურებსო.

**არეულობა ალბანიაში.**

აჯანყებულ ალბანელებს იმედი აქვთ, რომ აბდულ-ჰამიდის ვაჟიშვილი ბურჰან-ედინი მივა ალბანიაში და მეთაურობას გაუწევს აჯანყებულებსაო. აბდულ-ჰამიდი ძლიერ სწყალობდა და უხვად აჯილდოვებდა ხოლმე ალბანელებს; ამიტომაცაა, რომ მათ თავი გამოიდეს ტახტიდან ჩამოგდებულ სულთნისთვის.

რუსული და ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ ავსტრია ბეჯითად უწყობს ხელს ალბანელების აჯანყებასო. ავსტრიას 50 ათასი ჯარისკაცი ჰყავს დამზადებული ოსმალეთის საზღვარზე და პირველ მარჯვე შემთხვევის უმალვე ეს ჯარი საზღვარს გადალახავს და ნოვობაზარის სანჯაყს დაიჭერსო.

**არაბთა ეროვნული მოძრაობა.**

„რუსკი ვედომოსტი“-ს სირიელი კორესპონდენტი საინტერესოდ ასწერს არაბთა და ოსმალთა ურთიერთობას და არაბთა ეროვნულ მოძრაობას:

„ახალგაზდა ოსმალები ცდილობენ პროგრესის გზაზე დააყენონ ოსმალეთი. ბევრი ძნელი საქმე უდევთ მათ წინ, მაგრამ უცილობლად ყველაზე მძიმე საქმედ უნდა ჩაითვალოს იმ ერების ერთად მოთავსება და შეთანხმება, რომლებისაგანაც შესდგება ოსმალეთის იმპერია. ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი ოსმალებს გარდა არიან არაბები. ცნობილია, რომ ოსმალებსა და არაბებს შორის ყოველთვის არსებობდა ჩუმი სიძულვილი. არაბებს დღემდე ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, რომ მუსულმანთა ხალიფად, შარიატის წინააღმდეგ, არის ოსმალო და არა არაბი; ოსმალებიც ზიზღით უცქეროდნენ არაბებს, როგორც ველურს, უკულტურო ხალხს, რომელიც არა თუ სხვა ერებს, თავის თავსაც ვერ მოუვლისო. ასეთმა განწყობილობამ თვით პარლამენტშიაც იჩინა თავი. ამას წინად ეგვიპტურ არაბულ გაზეთის „ალმუკატამში“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ ოსმალელი დეპუტატები ცუდის თვალით უცქერიან, არად აგდებენ არაბთა დეპუტატებსო. ამ ცნობამ, რომელიც ყველა არაბულმა გაზეთმა გადაბეჭდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არაბებზე. დაიწყეს ხელახლად ლაპარაკი, რომ დროა არაბებმა თვითმართველობა მოითხოვონო... მაგრამ არაბთა დეპუტატებს არ უნდოდათ ისედაც გამწვავეულ მდგომარეობის უარესად გამწვავება, ამიტომ მათ პარლამენტში დაარსეს ზომიერი ფრაქცია, რომლის პროგრამას სულ არა აქვს ეროვნული ელფერი. მაგრამ ასეთი ზომიერება ჭკუაში არ მოუვიდა არაბ-ნაციონალისტებს, მეტადრე იმ ჯგუფს, რომელიც თხოულობს ავტონომიას არაბთა პროვინციებისა და თავდაპირველად სირიისთვის.

არაბმა ნაციონალისტებმა, რომლებსაც, როგორც ეტყობა, დიდი ფული აქვს, პარიზში საკუთარი გაზეთი დაარსეს სახელად „ანაგდატულ-არაბია“ (რაც ჰნიშნავს „არაბთა აღორძინებას“). ამ დღეებში უკვე მივიღეთ პირველი ნომერი საკმაო საინტერესო თავის შინაარსით. თხოულობს ავტონომიას სირიისთვის, ისეთს, როგორიც უკვე აქვს სირიის ნაწილს-ლივანს. ამავ ნომერში მოთავსებულია მთელი ბრალმდებელი ოქმი „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის წინააღმდეგ. მაგრამ ყველაზე საინტერესოა „ღია წერილი მის იმპერატორებით უდიდებულესობისადმი სულთან აბდულ-ჰამიდისადმი სირიელ არაბთა საზოგადოებისაგან“. ამ წერილში სხვათა შორის ნათქვამია:

„სრულიად სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ თქვენ უდიდებულესობას არ მოსდის ჭკუაში „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის ქცევა. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ თქვენო უდიდებულესობავ, ხმარობთ მთელს თქვენს ძალას და მოხერხებას, რათა დასცეთ ეს კომიტეტი, და ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ თქვენ მიაღწევთ კიდეც თქვენს მიზანს... მაგრამ ჩვენ გევედრებით, კონსტიტუციის ნუ ანაცვალებთ ორიოდე პირს, რომლებიც ულირსად თამაშობენ ასეთ დიდ როლს ოსმალეთის იმპერიის ცხოვრებაში“.

ორიოდე დღის შემდეგ სტამბოლში დაიქუხა კონტრ-რევოლიუციამ და ჩვენ დავრწმუნდით, რომ „ანაგდატულ-არაბია“-ს რედაქციას მართლაც სარწმუნო წყაროდან ჰქონოდა მიღებული თავისი ცნობა.“

ცხადია, რომ არაბ-ნაციონალისტებსაც ჰქონიათ კავშირი სტამბოლელ კონტრ-რევოლიუციონერებთან.

**შეთქმულობის აღმოჩენა.**

ალბანიაში, ქალ. უსკუბშიაც აღმოაჩინეს შეთქმულობა აფიცრებ შორის, რომლებსაც აბდულ-ჰამიდის ხელახლად ტახტზე აყვანა ჰქონდათ აზრად. ახალგაზდა ოსმალებმა ბევრი შეთქმულთაგანი დაატუსაღეს.

დღევანდელ დეპეშიდან ჩანს, რომ ალბანელ შეთქმულების მეთაურები სალონიკში მიუყვანიათ.

მთავრობამ სთხოვა პარლამენტს, ნება მიგვეცათ სამხედრო სამართალში მივცეთ ორი ალბანელი დეპუტატი, რომლებიც კონტრ-რევოლიუციაში იღებდნენ მონაწილეობას და ეხლა [illegible] ლობას ალბანიაში.

**ბანკები [illegible] აბდულ-ჰამიდის ფულს.**

გერმანულ გაზ. „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: აქ ცნობა მიიღეს, რომ ინგლისის და საფრანგეთის ბანკებმა, რომლებშიაც აბდულ-ჰამიდს შეუტანია შესანახად თავისი ფული, გადასწყვიტეს ეს ფული იმ შემთხვევაშიაც-კი არ მისცენ, გინდ ოსმალეთის მთავრობამ ბანკებს თვით აბდულ-ჰამიდის ხელმოწერილი ქაღალდი წარუდგინონ. ბანკები ამ ფულს მხოლოდ თითონ აბდულ-ჰამიდს მისცემენ და არა მის რწმუნებულებს, ვინც უნდა იყვნენ ეს რწმუნებულები.

**„ბანკები აბდულ-ჰამიდის ფულს არ აძლევენ ოსმალეთს“.**

ინგლისური გაზეთები უარ-ჰყოფენ ამ ცნობას. ინგლისის ბანკს არასოდეს არ შეუთვლია უარი ოსმალეთის მთავრობისთვის აბდულ ჰამიდის ფულის თაობაზეო.

**მეხუთე კორპუსის პროტესტი.**

კონტრ-რევოლიუციის შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის მეხუთე კორპუსმა, რომელიც სირიაში ქალ. დამასკში დგას, უღალატა ფიცსა და რეაქციონერებს მიემხროს.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება სირიიდან, რომ მეხუთე კორპუსმა სულაც არ უღალატა ფიცსა და ახალგაზდა ოსმალებსაო, პირიქით ამ კორპუსის აფიცრებმა იმ წამსვე გულის წყრომით სავსე პროტესტი გამოაცხადეს ასეთ ხმის წინააღმდეგო: „10 აპრილს მეხუთე კორპუსის აფიცრებმა ორი დეპეშა გაგზავნეს, ერთი—ბეირუთში გაზ. „ოტომანთა ერთობის“ რედაქციას, მეორე სტამბოლში. პირველ დეპეშაში ეწერა: ზოგიერთ გაზეთში წავიკითხეთ ცნობა, ვითომ მეხუთე კორპუსი ემზადებოდეს მტარვალობისა, თვით-ნებობის და რეაქციის დასახმარებლადო. ეს სრული ცილის წამებაა. პირიქით მეხუთე კორპუსი ემზადება არეულობის დასათრგუნად ადანასა ალეპოსა და საირანში“.

მეორე დეპეშაში ეწერა: „იმ სამწუხარო ამბებმა, რომლებიც ამ დღეებში მოხდა (კონტრევოლიუცია იგულისხმება) მოთმინებიდან გამოიყვანა ჯარი. ელიან წინანდელ სამინისტროს დაბრუნებას და კონსტიტუციის განმტკიცებას, რადგან არავითარ სხვა მთავრობას, თუ არ კონსტიტუციონურს, ხალხი და ჯარი არ დაემორჩილებიან. ოსმალეთის მთელი ერი გაილაშქრებს სტამბოლზე, თუ პალატის თავმჯდომარისაგან სამს დღეში დასაკმაყოფილებელი პასუხი არ მოვა“.

# სპარსეთის ამბები

**ოსმალეთის მოქმედება ურმიაში.**

როგორც ვიცით, ოსმალეთის ჯარმა ურმია დაიჭირა სპარსეთში. ამ ამბავმა თურმე ძლიერ დააფიქრა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო. „რუს. სლოვ.“-ს კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: „ოსმალეთის ჯარის მიერ ურმიის დაჭერამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულ წრეებში. ზოგიერთ ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა ეხლა უფრო მეტს მედგრობას გამოიჩენს ამ საქმეში, ვიდრე შარშან, როდესაც მისმა ჯარმა პირველად დაიჭირა ურმია: მაშინ ოსმალეთმა ინგლისის და რუსეთის მოთხოვნით მალე გაიყვანა ჯარი ურმიიდან. საქმეში ჩახედული წრეები ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთი ეხლა ასე გაბედულად გერმანიის დიპლომატიის გავლენით იქცევაო, ხოლო გერმანიის დიპლომატიას უნდა, რომ რუსეთსა და ინგლისს საქმე გაუჭირვოს სპარსეთშიო.

**სამხედრო წესები თავრიზში.**

იმავ გაზეთის კორესპონდენტი იუწყება თავრიზიდან: როგორც ისმის, გენ. სნარსკი სამხედრო წესებს გამოაცხადებს თავრიზში. რუსის საპიორები იღებენ ქალაქის პლანსა და გაჰყავთ ტელეფონი.

**რუსეთი და ინგლისი შაჰს ესარჩლებიან.**

გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება:

„ამ ჟამად რუსეთს ჩრდილოეთ სპარსეთში ჰყავს 6,000 ჯარის-კაცი. რუსეთმა და ინგლისმა გამოუცხადეს რევოლიუციონერებს, რუსის ჯარი ნებას არ მოგცემთ, რომ

თეირანზე გალაშქრება განაგრძოთო. ამავე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მოსთხოვეს შაჰს, რომ ამას იქით სპარსელ მინისტრების დამტკიცების უფლება ჰქონდეთ რუსეთსა და ინგლისსაო.

**რევოლიუციონერების გამარჯვება.**

უცხოელი კორესპონდენტები ერთხმად ჰმოწმობენ, რომ სპარსელ რევოლიუციონერების ბრძოლა სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდაო. შაჰმა ქედი მოიხარა და წინანდელი კონსტიტუცია აღადგინა. შაჰის მანიფესტი მეტად წყნარ, თავმომდაბლებულ კილოზეა დაწერილი. მაგრამ რევოლიუციონერები არ დაკმაყოფილდნენ შაჰის მანიფესტით და უფრო მეტს თხოულობენ.

30 აპრილს ახლად დაარსებულმა სახელმწიფო საბჭომ მოახდინა სხდომა. საბჭოში სჭარბობს ოპოზიცია. შაჰის მანიფესტში ნათქვამია, რომ მუზაფერ-ედინ შაჰის ნაბოძები კონსტიტუცია შეუცვლელად აღდგენილ იქნებაო. ამის ძალით საბჭოს ოპოზიცია თხოულობს, რომ პირველ მეჯლისის დეპუტატები კენჭის უყრელად შევიდნენ ახალ მეჯლისშიო. ამას გარდა, იგივე ოპოზიცია თხოულობს, რომ ახალ მეჯლისს უფლება მიეცეს თავისი საკუთარი მილიცია იყოლიოს, რათა შაჰს არ შეეძლოს მეჯლისის გარეკვა როცა მოიგუნებებს. მილიციის დარსებას მიანდობენ რეშტისა და ისპაჰანის ენჯუმენებს.

**ოსმალეთის საელჩოში.**

ოსმალეთის საელჩოში დღემდე ბევრი სპარსელი ზის ბესტში. მათ არაფერი არა სჯერათ შაჰის მიერ ნაბოძებ კონსტიტუციისა. ისინი პროტესტს აცხადებენ ახალ სამინისტროს წინააღმდეგ და თხოულობენ, რომ რეშტის გუბერნატორი სეპეხდარი და ბახტიარების ხანი სამსამუს-სალტანეც დაინიშნენ მინისტრებადაო.

**ახალი საარჩევნო კანონი.**

სახელმწიფო საბჭომ უკვე შეადგინა ახალი საარჩევნო კანონი და შაჰს წარუდგინა დასამტკიცებლად.

**რეაქციონერების პროვოკაცია.**

კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ რეაქციონერები ვეღარა ჰბედავენ აშკარად აგიტაციას კონსტიტუციის წინააღმდეგ და ჩუმ-ჩუმად დაიწყეს მოქმედება და ყოველნაირ პროვოკაციას ხმარობენ, რომ კონსტიტუციონალისტებს სახელი გაუტეხონ. თეირანის ენჯუმენმა დაამტკიცა, რომ ისინი რევოლიუციონერების სახელით დაცემას აპირებდნენ მთავრობისა და უცხოელთა დაწესებულებებზე.

ელჩების მოთხოვნით საიდუმლოდ იძიებენ ამ საქმეს, საფინანსო დაწესებულებებსაც მეტი დარაჯები მიუჩინეს.

რუსეთის საელჩომ თავრიზიდინ კიდევ ერთი ბატალიონი ჯარის კაცი დაიბარა.

**რას თხოულობს სათარ-ხანი.**

თავრიზიდან თეირანში მივიდნენ სათარ-ხანის კაცები და საიდუმლო წერილი ჩააბარეს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს. ამბობენ, რომ ამ წერილში ჩამოთვლილია მეჯლისის განადგურების უმთავრესი მონაწილენი, რომლებიც ეხლა საიდუმლოდ მოქმედებენ თურმე. სათარ-ხანი თხოულობს, რომ ეს ექვსივე კაცი სამართალში მისცენ და არჩევანში მონაწილეობის უფლება ჩამოართვანო.

# იაპონია-ავსტრიის კავშირის პროექტი

ჰუნგრული გაზეთები იუწყებიან: ავსტრიაში მოვიდა იაპონელი პრინცი მაშიმოტი და თან მოიტანა ხელშეკრულობის პროექტი, რომლის თანახმად იაპონია მოვალეობას კისრულობს, თუ ავსტრიას ომი მოუვიდა რუსეთთან, იმ წამსვე სამხედრო მოქმედება დაიწყოს რუსეთის წინააღმდეგ მანჯურიაში, ხოლო ავსტრია თავის მხრივ მოვალეა დახმარება გაუწიოს იაპონიას, როცა ამას მოუვა ომი რუსეთთან. („კ“).

# მოწერილი ამბები

**ბელაგორი.** 28 აპრილი ბელაგორის საზოგადოებისათვის დიდად სამწუხარო დღე იყო. ამ დღეს ბელაგორელნი გამოესალმნენ იმ გაძს, რომელიც ბევრს საწყალსა და დავრდომილს ეხმარებოდა. ეს დღე მათთვის ორ ნაირად სამწუხარო ჰყო. სავადმყოფო წაერთვათ და მოშორდათ ისეთი გულ კეთილი, ხალხის გულშემატკივარი ექიმი, როგორიც არის ვარლამ საყვარელიძე. ამ დღეს ბელაგორლებმა იმის პატივსაცემლად გამართეს სადილი, მაგრამ გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა ხალხის და ექიმის გამომშვიდება. ორივე მხარე სწუხდა. ბევრმა წარმოსთქვა სიტყვა, მაგრამ ყველაზე გრძნობიერის სიტყვით მიმართა ექიმს ერმა მუშამ, რომელმაც მოკლედ დაასურათა მისი მოღვაწეობა და ბოლოს აღნიშნა, რა გვარ უსამართლოდ წაერთვა ბელაგორს სავადმყოფო.

ამ დღეს ქურდ-ბაცაცებმა ისარგებლეს შემთხვევით და დამე გასტეხეს ვაჭრის დევდარიანის დუქანი. მოიპარეს 23 მ. და პაპიროსები. პოლიციამ იმ დამევე ეჭვით დააპატიმრა მარელისელი მაღრაძე. რომელიც 12—13 წლისა იქნება. მაღრაძე ქურდობაში გამოტეხილა და ამხანაგებიც დაუსახელებია. ყველანი დააპატიმრეს. **რიხვა.**

—

**ბათუმი.** „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ნათქვამია. მას შემდეგ, რაც აქ მოტეხილებით გაიტაცეს და მოჰკლეს ექიმი ტრიანდა ფილიდისი, გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლის ძალითაც ყველა სახლის-პატრონს უნდა შეექმნა ფარანი და გაენათებინა შენობის წინ ქუჩა. ახლა ქუჩები კარგად არის განათებული.

ქურდ-ბაცაცობა, მუქარის წერილების მიწერა, კაცის კვლა მოისპო ბათუმში, თუმცა გახშირდა თავის კვლა. ამ რამდენიმე დღეში ორმა თუ სამმა მოიკლა თავი. ერთი მაიკანი ინტელიგენტი კაცი—ტიპოგრაფი ეგნატე—შიგ შუა ბაზარში ეცა „სტრაჟნიკს“ გამოსტაცა რევოლვერი და შიგ პირში იხალა ტყვია. მეორემ, აფთიაქის მეტირდად ნამყოფმა, თავი ჩამოიხრჩო, ამბობენ უადგილობის გამო და სხვა.

თოფიან-რევოლვერიანი „სტრაჟნიკებიც—ასე 100 კაცამდის შეემატა ბათუმს იმავე ტრიანდაფილიდის მოკვლის შემდეგ. ეს ახალი ხარკი—ტრაჟნიკების შენახვაც სახლის-პატრონებს შეაწერეს. სტრაჟნიკები განსაკუთრებით აჭარელი მაჰმადიანი ქართველები არიან. **ტრ. ინასარიძე**

—

**ლანჩხუთი** (გურია). სწორედ ახირებულ ხანაში ვცხოვრობთ. გურიის სახელი ყველგან გავარდა, მოწინავე კუთხედ ითვლება იგი, მაგრამ, როგორც მაგალითები გვიმტკიცებენ, გურია ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ამ დღეებში ს. ჩიბათში ფოთიდან ჩამოვიდა ვიღაც მკითხავი სამხის ქალი, რომელიც გაჩერდა ნ. ჭუღნიას სახლში. გაიგო თუ არა ეს ხალხმა, ბუზივით დაედო მკითხავს. თითო რჩევაში აბაზს იღებს, ატყუებს ხალხს და, როგორც ამბობენ, დღეში 20-30 მანეთამდე შოულობს. აფთიაქებში მუშაობა დაეცა. ავად და კარგად მყოფნი მკითხავთან გარბიან და ისიც ოსტატურად თვალებს უხვევს ხალხს.

კიდევ არაფერი, რომ მარტო კითხაობით კმაყოფილდებოდეს მკითხავი. იგი ნიადაგს ამზადებს შურის საძიებლად ხალხში. ზოგს ეუბნება—„შენ მეზობლისაგან ადგილი რომ იყიდე, ყიდვის დროს დაგწყევლა და ამიტომ ხარ ავადაო“; ზოგს—„შენმა მეზობელმა გაგზავა თვალითაო“. ზოგს—„ცოლი გღალატობსო“ და სხვა.

არავინ ყურადღებას არ აქცევს და მკითხავი თავისუფლად თარეშობს. საჭიროა ასეთ მოვლენას ყურადღება მიაქციოს ვისგანაც ჯერ-არს. **№ 4.**

—

**ქიზიყი.** წელს ღვინის მოსავალი ქიზიყში შარშანდელთან ნაკლები იქნება. რადგან ჯერ ერთი, როდესაც კვირტი დაიძრა და ყურძენი გამოუჩნდა ვაზს, საშინელი სიცივე დადგა, მაგ., აღდგომისა და მეორე კვირაში; მეორეც, ნარევმა ვაზმა (მაგ. ძალიან არ ჭამამ) ძლიერ ნაკლები ყურძენი გამოიტანა; მესამეც, რაც ყურძენი გამოიტანა ბებერმა ვაზმა, წლიკი და ფუჩიანი გამოდგა. მცოდნეთა აზრით, ყვავილის შემდეგ და ისვრიმობაში მთლად გასცვივა. ამას ყველანი ვამჩნევთ, მაგრამ ღვინის მოვაჭრე სირაჯები თავისას არ იშლიან და ისევ ჩალის ფასად ჰხაფავენ ღვინოებს. რა ენადვლებათ, გაჭირვებული ხალხი კლანჭებში ჰყავთ შებოჭილი...

წელს ზოგების მიერ მოტანილი აბრეშუმის თესლი ჩვენში ძლიერ ბევრმა აიღო, მაგრამ ეხლა ვისაც შევხვდები, ყველა უჩივის, ჭია ზარალობსო! ერთმანეთთან შეცილებით აბრეშუმის ჭიის საკვები ფურცელიც ძლიერ გააძვირეს, ყველამ წინდაწინვე თადარიკი დაიჭირა და ფურცელი ნაყიდი აქვს, მაგრამ თუ ჭიამ შემდეგშიაც ასე იზარალა, ზარალის მეტი არა ქმნებათ რა ქიზიყელთა ღლაკებს ჭიათბიდან.

შემოწმებული ჭიის თესლი რომ რიგდებოდეს ჩვენში, ეს დარგი მეურნეობისა დიდ შეღავათს მისცემდა ისედაც მრავალ გადასახადებისაგან დატვირთულ ოჯახს... **X.**

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებათ.**

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო: ონისიმე ხვანაძის მიერ შეგროვილი ტფილისის სადგურის კონდუქტორთა მიერ 45 მ. 40 კ. შემომწირველთა სია: თითო მანეთი—ხ. დოლიძემ, ექვ. დივნისამ, კუზმა ჯიბუტიძემ, არუთინოვმა; 60 კ.—ნ. ცინცაძემ; ათ-ათი შაური—ალ. ალხაზოვმა, ვლ. ქლიბაძემ, ონ. ხვანიძემ, დ. კრავჩენკომ, გ. ცოცხალაიშვილმა, კ. მებიზაშვილმა, ვ. ხართანიამ, ვლ. კაზაკაშვილმა, ალ. გეორგობიანმა, ის. ზაქარიაძემ, ალ. ადეიშვილმა, ლავ. წულაიამ, ალ. ჯიქიამ, ივ. ხვიანაძემ, არ. ქოქოშვილმა, ლ. ფანცულაიამ, მაკ. ჩადუნელმა, ნ. გორტლიშვილმა, პლ. ცაგარეიშვილმა, გ. ფხაკაძემ, ილ. მგალობლიშვილმა, კ. მიდიაშვილმა, ჭ. ქუთათელაძემ, მელ. პეტენავამ, ი. მეუნარგიამ, პ. წულაიამ, ეს. მაჭავარიანმა, პ. ცქიტიშვილმა, იაგ. გოგიბერიძემ, მ. რუხაძემ, ვ. ხარიშვილმა, კ. ღლონტმა, ნ. არაბიძემ, ალ. ხალუქვაძემ, ი. ზანდუკელმა, ნ. მდივნიშვილმა, რევ. ხემიონოვმა, პ. ციხისთავმა, მ. პაიჭაძემ, გოდერზიშვილმა, ალ. ჯუღელმა, ხარ. ჭუმბურიძემ, ეს. ხატიაშვილმა, ხ. ბოლქვაძემ, გ. ჯაველიძემ, ბეს. ქოჩილავამ, გრ. მანჯავამ, ვ. გოჩდელაძემ, ვლ. ალავიძემ, ხამ. ჩხეიკაძემ, ბუხრაძემ, ფ. ჯალაგანიამ, ილ. ლომთაძემ, გრ. მეიფარიანმა, ილ. დოლიძემ, ი. ხუციშვილმა, ს. ბოკაძემ, მ. ურუშაძემ, ს. ფოფხაძემ, დ. მუჩაიძემ, ს. სალუქვაძემ, ეს. მახარაძემ, არ. ქორიძემ, ს. დოლიძემ, ს. ბერეზნადაშვილმა და ფ. ანდღულაძემ; ორ-ორი აბაზი: ემ. გაბუნიამ, ალ. ორჯონიკიძემ, გ. ოდიშვილმა და ან. ჯიბუტმა; ექვსი შაური: ი. მეტრეველმა, ილ. გოგუაძემ, ს. გოგიაშვილმა, კ. თოფურიამ, არ. თათარაძემ, ნარ. ნემსაძემ, ი. Мокій, ან. ნიკოლაიშვილმა; ხუთ-ხუთი შაური: ნ. დოლიძემ, ნ. პარჯანაძემ; თითო აბაზი: დ. ანანოვმა, ყაზაროვმა, ს. მაისურაძე, გ. ნატრაძემ, ნ. ორთაიძემ, ს. კაკაბაძემ, ... ეჯუევმა, ალ. ხაბურზანიამ, ნ. ნევსაძემ, ს. ჩიტალაშვილმა, ნ. კაკაურიძემ, ალ. საგირაშვილმა, Ив. Дронотовъ და ადამ გერსამიამ.

„ჩვენი აზრის“ რედაქციიდან 5 მ. 50 კ. (შემომწირველთა სია უკვე დაბეჭდილი იყო).

ქუთაისიდან მ. ი. კაუხჩევისაგან თავის პროგიმნაზიაში შეკრებილი 9 მან.

ხულ 59 მ. 90 კ. დღემდე იყო 466 მ. 83 კ. სულ 526 მ. 73 კ.

# რუსეთი

✦ **„ანტიქრისტეს“ მოკვლა.** 2 მაის მაგილევის სამოსამართლო პალატამ დაიწყო გარჩევა სოფ. სისოევის, მაგილევის გუბერნია), მცხოვრებთა საქმისა. ამათ ბრალდებათ „ანტიქრისტეს“ მოკვლა. საქმე ამნაირათ ყოფილა. 1907 წელს, 16 ივლისს სოფ. სისოევის მცხოვრებ გლეხს მიხეილ კოლჩევსკის შეუკრებია სისოევის მცხოვრები გლეხები და უთქვამს, რომ ყველაფერი უბედურება რუსეთში „ანტიქრისტესგან“ ხდება. „ანტიქრისტე“ უკვე დაიბადა, ის 16 წლისა და 9 თვისააო, „ანტიქრისტე“ გლეხ ემელიან გორბაჩევსკის შვილიაო და უნდა მოვკლათო. მიხეილ კოლჩევსკი ძალიან მორწმუნე კაცად ითვლებოდა ხოფელში, და ამიტომ ხოფლელებს ყველაფერი დაუჯერებიათ და წასულან „ანტიქრისტეს“ მოსაკლავათ. ბავშვს სძინებია. მიხეილ კოლჩევსკის ბრძანებით ბავშვი იატაკზე დაუგდიათ. კოლჩევსკის სახარებიდან რამდენიმე თავი წაუკითხავს. ამას შემდეგ ფეხით შესდგომია ბავშვს და რამდენჯერმე დაერტყამს თავში ფეხი. ამის შემდეგ უბრძანებია ბავშვის შუაზე გაჭრა. გლეხებს ხელდახელ უმოვიათ ცული. ბავშვი შუაზე გაუჭრიათ, რის შემდეგ, კოლჩევსკისავე ბრძანებით, ასოასოდ აუკუწიათ. მერმე მლოცველებით ბავშვის ასოები, ჩაუყრიათ ტომარაში, მიუკრამთ ცხენისთვის კუდზე და მახლობელ ტბაში ჩაუყრიათ. როდესაც ყველაფერი გაუთავებია კოლჩევსკის დაულოცია ხალხი და უთქვამს, რომ სახლში წადით, მე კი აქ დავრჩები, რადგან ღვთის ბრძანებით ცაში უნდა ავმაღლდეო. კოლჩევსკი, რა თქმა უნდა, არ ამაღლებულა. მეორე დღეს გლეხები გონზე მოსულან, მაგრამ გვიანღა ყოფილა. ბავშვის მკვლელები მეორე დღესვე დააპატიმრეს. საინტერესო ისაა, რომ თვითონ ბავშვის მამა, გარბაჩევსკი იღებდა მონაწილეობას თავის შვილის მკვლელობაში. საქმის გარჩევა ამ დღეებში დამთავრდება.

✦ **სად არის აზეფი?** „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით ინგლისურ გაზეთის ერთ კორესპონდენტს განუცხადებია, რომ პეტერბურგის ერთ დიდ ქუჩაზე აზეფი ვნახეო. აზეფი ეტლში მჯდარა, მას თან ჟანდარმთა გენერალი მისდევდა თურმე.

✦ **სოფლების ჩხუბი.** „რუსკ. ვედ.“ სიტყვით ამ დღეებში იამბურგის მაზრის რამდენიმე სოფლის მცხოვრებლებს შეტაკება მოხდენიათ. ჩხუბში მონაწილეობა 200 კაცზე მეტს მიუღია. შორიდან მაყურებელს ომი ეგონე ოდა თურმე. ისროდნენ რევოლვერებს, თოფებს და სხვა. მოუკლავთ ორი, მძიმედ დაუჭრიათ ორი და მსუბუქად 25 კაცი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: რიგაში 1, ხერსონში 1, ვარშავაში 4, მოსკოვში 2, უფაში 2, პეტერბურგში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ქიშინიოვში 2, ლოძში 2, ხარკოვში 3, პეტერბურგში 1, უფაში 2, მოსკოვში 1, ოდესაში 1 კაცი.

# წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ამილიცა მითაიშვილისას, რომელმაც თავის ნაცნობ შორის შეაგროვა თერთმეტი მანეთი და გამოუგზავნა ჯუმათის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს.

სია შემომწირველთა: თითო მანეთი: ნესტორ კიკალიშვილი, ივანე წერეთელი, ალექსანდრე მითაიშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, ირ. დეკანოზიშვილი, ამილიცა მითაიშვილისა, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი წერეთელი, ვარლამ ხუროძე; ათ-ათი შაური: ვიქტორ მელიქიშვილი, მარიამ ჩხეიძე, ნინო წულუკიძე, ვასო წიტაიშვილი.

უგულითადეს მადლობას უცხადებ აგრეთვე იმათ, რომელთაც კერძოდ ამისა სამკითხველოს შემოსწირეს ცხრა მანეთი, სახელდობრ: ნესტორ გადუა 1 მ., არონ დონდოლაძე 3 მ. მარკოზ ჩხარტიშვილი 15 კ, ბენიამე დონდოლაძე 1 მ., ისიდორე სვანიშვილი 1 მ. მღ. სამსონ დარჩიას 2 მ. გიორგი ივ. ჩხარტიშვილი 50 კ.

მადლობას ვუძღვნი აგრეთვე: პორფირი ჩხარტიშვილს, რომელმაც გამოუწერა სამკითხველოს ქართული გაზეთი „ჩვენი საქმე“; გრ. კანდელაკს, რომელმა გამოუწერა რუსული გაზეთი „ბატუმსკი გოლოსი“; ნიკოლოზ ჩხარტიშვილს, რომელმაც გამოუწერა ქართული გაზეთი „დროება“; ფილიპე, რაჟდენ, მონაელ, შერმანდი, პოლიანტე, ივანე ჩხარტიშვილებს, ნიტიფო, ილარიონ, მიხაკო გოგუებს, ივანე ჩავლეიშვილს, მელენტი დოლიძეს, მალაქია მექვაბიშვილს და კოწია ფირცხალაიშვილს, რომელიაც სამკითხველოს შენობა გადმოიტანეს ს. მამათიდან და დადგეს ს. ჯუმათში თავიანთ ხარჯით. არსენ ნესტორიანს, რომელმაც შემოსწირა ორი გრძელი სკამი, ღირებული ექვს მანეთად.

გამგე სამკითხველოისა

**სერაპიონ ჩხარტიშვილი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთში მოთავსებული იყო (№№ 48,49 და სხვა) წერილები „სოფლად“-ის სათაურით Legatus-ისა. კორესპონდენცია სავსეა შეცდომებით, მეტადრე იქ, სადაც მოყვანილია ციფრები. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, რათა საზოგადოება შეცდომაში არ შევიდეს, მოათავსოთ ნამდვილი ანგარიში სოფლისა მოხელეთა ჯამაგირისა.

Legatus-ი გატყობინებთ, რომ ოქონის საზოგადოებაში სცხოვრობს 1061 კომლი, რომელნიც ვითომდა იხდიან თავიანთ მოსამსახურე პირების შესანახად წელიწადში 2970 მ. 80 კ. ნამდვილად-კი ოქონის საზოგადოებაში ირიცხება 1068 კომლი გლეხი, რომელნიც იხდიან 2600 მ. ამ ციფრებს შორის დიდი განსხვავებაა და ეს რომ Legatus სცოდნოდა გაკვირვებული არ იკითხავდა—სად წავიდაო 390 მან. 80 კ.“ ამ 2600 მანეთიდან მამასახლისი გოგიშვილი იღებს ჯამაგირად 240 მანეთს და არა 360 მანეთს, როგორც ამტკიცებს ავტორი.

ავტორს რომ ჩემთან შემოევლო, ნამდვილ ცნობებს ვაიგებდა და აღარ დასწერდა: „სად არის 390 მ. 80 კ..... და საზოგადოებას რომ არ წაართვან და მამასახლისს არ მიჰკერძონო.... და აბუჩად 1200 კომლი არ აიგდონო...“ ამას გარდა, განა არ იცის Legatus-მა, როგორც ადგილობრივმა მკვიდრმა, რომ რაც შე შუამავლადა ვარ დანიშნული, რვა-ცხრათვე იქნება და ამიტომ მხოლოდ ამა 1909 წლის ხარჯთ-გაწერამ გაიარა ჩემ ხელში და რომ წინა წლის ხარჯთ-აღრიცხვა მოხდა წინანდელ შუამავლის თავ. ამირაჯიბის ხელში, რომელმაც საზოგადოების შენობის უვარგისობის გამო დაიქირავა კანცელარიისა და მოსამსახურე პირებისათვის შენობები თ. გ. ი. ჯავახიშვილისა თვეში 17 მანეთად. ერთი მიბრძანეთ, აქ რა შუაშია მამასახლისის ოჯახი და მის გამო ვაება-გოდება? რაც შეეხება საზოგადოების საკუთარ ხის შენობას, გაცნობებთ, რომ შეკეთება შენობისა ან სხვაგან გადატანა შეჩერდა შემდეგის მოსაზრებით: რადგან განზრახულია ოქონისა და ალის საზოგადოებიდან გამოანაწილონ რამდენიმე ათეული სოფელი და შეადგინონ ახალი საზოგადოება აბასისა, ამისათვის, რასაკვირველია, ცენტრი ოქონის საზოგადოებისა სოფ. ქნოლევიდან სხვა რომელსამე შუაგულ ადგილას გადავიდოდა, მაშასადამე, ყოველივე ხარჯი სახლის ფუნდამენტალურად შეკეთებისა ამ დრომდე ამაო იქნებოდა. ამისათვისა გადავდეთ შეკეთება და გადატან-გადმოტანა იმ შენობისა პრინციპიალურ საკითხის გადაწყვეტამდე.

მამასახლის გოგიშვილის მოქმედებაზე, რომელიც მიზანში ამოუღია კორესპონდენტს, მოგახსენებთ, რომ მთავრობის მამასახლისობის დაყენება-გადაყენება სავსებით მაზრის უფროსის ხელშია და ბევრს საქმეში მეც მექვემდებარება. ამასაც დავუმატებ, რომ არც მე და არც მაზრის უფროსს არც ერთი საჩივარი არ მიგვიღია ხალხისაგან ხსენებულ მამასახლისის ცუდ ყოფა-ქცევაზე. ნურც იმას დაუჯერებთ, რომ ვითომ ეშინიანთ და ამიტომ ვერა ჰბედავენო. უფრო ღონიერ პირზე სჩივის ხოლმე ხალხი, როცა კი იძულებულია. ამისდა მიუხედავად, მე ვისარგებლე ოქონის საზოგადოებაში ყოფნით აპრილის ნახევრებში და შევუდექი გამოძიებას, თუ რამდენად მართალია გაზეთში დაბეჭდილი ამბები მამასახლისზე ვითომ და თარეშობის შესახებ. არც ერთი ამბავი მართალი არ გამოდგა. მოვიყვან ერთ ნიმუშს: ავტორი სხვათა შორის, სწერს, რომ თიღვის ნაცვალს მოუვიდა დიდი უსიამოვნება თიღველ გლეხებთანაო და რომ მამასახლისის ჩარევით და ნათესაურ მხარის დაჭერით გლეხებს გადახდათ ვითომდა ეკლესიის სასარგებლოდ 60 მან., მაგრამ ეს ფულიც მამასახლისმა მიითვისაო. ამის გასაგებად საგანგებოდ ავედ თიღვაში და ადგილობრივმა მღვდელმა მამა ათაევმა მიამბო შემდეგი: მართალია, რომ ადგილობრივ მცხოვრებ გლეხებსა და იმათ ნაცვალს შეტაკება მოუვიდათ და ხელითაც შეეხნენ ნაცვალსაო, მაგრამ თვით ჩვენ მამასახლისის დახმარებით მორიგება ჩამოვაგდეთ და დავადგინეთ საპატიო პირების თანადასწრებით, რომ გლეხებმა უნდა გადიხადონ 60 მანეთი იმ პირობით კი, რომ ორი თუმანი გადასცემოდა ნაცვალს საკუთრად, ხოლო დანარჩენი 40 მანეთი გადადებული იყო თიღვის ეკლესიის შესაკეთებელ ფონდის გასადიდებლად. ესეც მოხდა და ის 40 მ. ეკლესიისათვის არის შენახულიო. მე ნალაპარაკევი მღ. ათაევისა და გლეხებისა ნამდვილად მიმაჩნია და ამიტომ ვაცხადებ, რომ კორესპონდენტის ნაწერი სიმართლეს არის მოკლებული. ამით, რასაკვირველია, მე სრულიადაც არა მსურს ვთქვა, რომ მამამასახლის გოგიშვილის მოქმედება იყოს უმწიკვლო და უმანკოებით სავსე, მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, რომ თუ სინამდვილე დაბეჯითებით არ იცი, არ უნდა დაამცირო ... [illegible] ... როგორიცაა მამასახლისი.

შეიძლება ... [illegible] ... მოსწრაფე ... [illegible] ... საბუთს არ აძლევს მოათავსოს გაზეთში არა ნამდვილი ცნობები. დღეს გოგიშვილი, როგორც სხვა დანარჩენი მამასახლისი—სტრაჟნიკები, გარდა ორისა, მთელ მაზრაში გადაყვანილ იქმნა სტრაჟნიკთა რეზერვის გასაძლიერებლად, რადგან მით მიენდოთ უფრო დიდი საქმე მაზრაში—ყაჩაღთა ბრბოს განადგურება. შეიძლება ამის შემდეგ ვინმე იფიქროს, რომ კორესპონდენციამ გასჭრა და ოქონის საზოგადოებას მოაშორეს ეს ოდენ მავნებელი პირი (Sic!), როგორიც იყო გოგიშვილი. ასე იწერება ისტორია და ამიტომ ვაცხადებ, რომ ამასთანა ისტორიკებს დღეიდან პასუხს აღარ ვაძლევ.

მომრიგებელ-შუამავალი **გ. ვეზირიშვილი**


# განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—51)

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—80)

**ამხ. „სორაპანის“ გამოცემა**

ქართველი და უცხოელი მწერლები

# „ახალი ჩანგი“

„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლებისა“.

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა კითხვის საზოგადოებისა, „რეხის“ კიკნაძისა სახაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა“ კიროჩნი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.

**ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს**—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება (200 გვ.) 25 კაპ.** წიგნი კერძოდ გასასყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებითაც გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“, М. Гачечиладзе.

**დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.**

(10—6.—4)



швейныя машины „Кайзеръ“

# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—33)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვაჭრის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე**